პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 61 (10758) | ოთხშაბათი, 13 მარტი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

სახელმწიფო შრომითი რეზერვები

საქართველოს მშრომელები საბჭოთა კავშირის მთელ ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვიან პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების გადასაწყვეტად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ამ დიადი ამოცანების განხორციელების საქმეში თვალსაჩინო როლს ასრულებს სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემა, რომელსაც დავალებული აქვს ჩვენი ქვეყნის მზარდი სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის ახალგაზრდა მაღალკვალიფიციური მუშათა კადრების მომზადება.

ყოველწლიურად იზრდება და ფართოვდება საქართველოს მრეწველობის ყველა დარგი. გასულ ხუთწლედში საქართველოს შრომითი რეზერვების სასწავლებლებმა და სკოლებმა მოუმზადეს ქვანახშირისა და მარგანეცის მრეწველობას, რკინიგზის ტრანსპორტს, დიდ სამშენებლო ობიექტებს, ქარხნებსა და ფაბრიკებს მაღალი კვალიფიკაციის 24 ათასი ახალგაზრდა მუშა, ამავე პერიოდში გამოიმუშავეს 18 მილიონ 460 ათასი მანეთის პროდუქცია. მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს მომზადებულ იქნა 5.000 მეტი კვალიფიციური მუშა და ამავე პერიოდში მათ სწავლების პროცესში გამოიმუშავეს 3 მილიონ 900 ათასი მანეთის პროდუქცია.

უკანასკნელ ხანს ჩვენს ქვეყანაში პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდებისათვის სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემაში გაიხსნა მრავალი ტექნიკური სასწავლებელი. ასეთი ტიპის სასწავლებელი გაიხსნა თბილისში და ქუთაისში. მიმდინარე სასწავლო წელს მუშაობა დაიწყო შრომითი რეზერვების ოთხწლიანმა ინდუსტრიულმა ტექნიკუმმა, რომელიც მომზადებს საშუალო ტექნიკური პედაგოგიური განათლების მქონე კადრებს.

შრომითი რეზერვების სასწავლებლები და სკოლები ამ ბოლო ხანებში უფრო მეტი მონდომებით მუშაობენ კვალიფიციური კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის მთელი საქმის გარდაქმნისათვის პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად. სასწავლებლებსა და სკოლებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება მაღალხარისხოვანი კვალიფიციური მუშათა კადრების მოსამზადებლად. საქართველოს შრომითი რეზერვების მუშაკებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკის შრომითი რეზერვების მუშაკები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

პარტია და მთავრობა შეუნელებლად ზრუნავენ შრომითი რეზერვების სისტემის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის. გასულ წელს საწარმოო სწავლების მოწინავე ოსტატებისა და პედაგოგებისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და პროფესიული დაოსტატების საქმეში, დაწესებულ იქნა დამსახურებული ოსტატისა და დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

გაუმჯობესდა საწარმოო სწავლების ოსტატთა, პედაგოგთა და აღმზრდელთა კადრების შემადგენლობა. სასწავლებლებსა და სკოლებში გაფართოვდა სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები, გამოიცა საჭირო ტექნიკური და პოლიტიკური სახელმძღვანელოები, ახალი ტექნიკის მოთხოვნილებისამებრ შეიცვალა, გადაკეთდა და მოეწყო სასწავლო საამქროები. გასულ წელს სასწავლებლებისა და სკოლების კეთილმოწყობისათვის შრომითი რეზერვების მუშაკებმა და მოსწავლეებმა სახელმწიფო თანხების დაუხარჯავად შეასრულეს 500 ათასი მანეთის სამუშაო.

შრომითი რეზერვების სისტემას დაეკისრა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგის კადრების მომზადება. ამასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის მექანიზაციის წულუკიძის, სურამის, დიღმის, ველისციხისა და ხიდისთავის სასწავლებლები შეიცვალა ახალი ტიპის ტრაქტორებით და სხვა საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივები მოითხოვს გაუმჯობესდეს ახალგაზრდობის საწარმოო სწავლების ხარისხი სახელმწიფო შრომითი რეზერვების სკოლებსა და სასწავლებლებში. შრომითი რეზერვების სისტემის მუშაკთა პასუხსაგები ამოცანაა გადაჭრით გაუმჯობესონ კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების ხარისხი, მაღალ დონეზე აიყვანონ ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმე.

კვალიფიციური კადრების მომზადების მხრივ კარგი მაჩვენებლები აქვთ თბილისის № 5 სპეციალურ, ქუთაისის № 4, ბათუმის № 1, რუსთავის № 3, თბილისის რკინიგზის № 1, მ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლებს, დიღმის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, რუსთავისა და თბილისის № 2, № 3 და სხვა სამშენებლო სასწავლებლებს.

იქ, სადაც საბაზო საწარმოთა ხელმძღვანელები გულისხმიერ დახმარებას უწევენ სახელოსნო სასწავლებლებსა და სკოლებს, კადრების მომზადების ხარისხიც მაღალია. დიდ დახმარებას უწევს ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, რუსთავის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხელმძღვანელობა № 4, № 3 და № 6 სახელოსნო სასწავლებლებს ტექნიკით აღჭურვისა და კეთილმოწყობის საქმეში.

მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას ჭიათურის მარგანტრესტის ხელმძღვანელობაზე, რომელმაც, მიუხედავად ზემდგომი ორგანოების არაერთი დადგენილებისა, დღემდე ვერ უზრუნველყო № 4 სამშენებლო და № 33 საფაბრიკო-საქარხნო სკოლების საამქროების, სასწავლო კაბინეტების, ლაბორატორიების კეთილმოწყობა. ამის გამო № 4 სამშენებლო სკოლაში ახალგაზრდობის მიღება შეჩერებულ იქნა. ჭიათურმშენის სამმართველომ მინიმალური პირობებიც კი არ შეუქმნა № 1 სამშენებლო სკოლას.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდის აუცილებლობა მოითხოვს მიმდინარე ხუთწლედში შრომითმა რეზერვებმა ქვანახშირის მრეწველობას, მშენებლობას, ელექტროსადგურების მშენებლობას, სოფლის მეურნეობას, რკინიგზის ტრანსპორტს, მსხვილ ქარხნებს, ფაბრიკებსა და სხვა საწარმოებს საკმაო რაოდენობით მოუმზადოს მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა კადრები. საქართველოს შრომითი რეზერვების სასწავლებლებმა და სკოლებმა მიმდინარე ხუთწლედში უნდა მოამზადონ 27 ათასი კვალიფიციური მუშა. შრომითი რეზერვების სისტემის მუშაკებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ კიდევ უფრო აამაღლონ კვალიფიციური კადრების მომზადების ხარისხი. საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს მუშაკთა მოვალეობაა გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა სახელოსნო სასწავლებლებისა და სკოლებისადმი.

შრომითი რეზერვების სასწავლებლებში და სკოლებში კვალიფიციური კადრების მომზადებისა და აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობით სისტემატურად უნდა დაინტერესდნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადების ხარისხი, მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა, ყოველი ღონისძიებით დავნერგოთ და განვამტკიცოთ მოსწავლე ახალგაზრდობაში სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის ლენინური იდეები, აღვზარდოთ იგი სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

სსრ კავშირის მხატვართა კავშირში

11 მარტს მოსკოვში გაიმართა პირველი პლენუმი სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობისა, რომელიც არჩეულ იქნა მხატვართა პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე.

პირველ მდივნად არჩეულია უზუცესი საბჭოთა ფერმწერი სსრ კავშირის სახალხო მხატვარი კ. თ. იუონი.

სამდივნოს შემადგენლობაში არჩეული არიან აგრეთვე ე. ფ. ბელაშოვა, ს. ვ. გერასიმოვი, გ. ს. მელიხოვი, ი. ი. პიმენოვი, ნ. ი. ოსენევი, ა. ვ. სალტიკოვი, ი. ა. სერებრიანი, დ. ს. სუსლოვი, უ. ტანსიკბაევი, ე. ი. ეინმანი.

(საკდესი).

სამხრეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი

ДОНИС РОСТОВИ, 10 მარტი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა სამხრეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ აქ ჩამოსულთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ნ. ი. ბელიაევს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს დავალებით თათბირი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ი. ბელიაევმა.

დღის წესრიგშია რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პ. ი. მოროზოვის და რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრის ტ. ა. იურკინის მოხსენებანი „კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების 1956 წლის მუშაობის შედეგებისა და 1957 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების ამოცანების შესახებ“.

ასრულებდნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, განაცხადა რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა პ. ი. მოროზოვმა, რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეებმა, მტს-ების მუშებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდებაში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში დიდი ხვედრითი წონა აქვთ ჩრდილოეთ კავკასიის ოლქებს, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს. ამოცანა ის არის, ამბობს მომხსენებელი, რომ 1957 წელს ნაყოფიერად გამოვიყენოთ თვითეული ჰექტარი მიწა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართულებით დასახულია ამოცანა გავხადოთ 1957 წელი გარდატეხის წელი ხორცის, განსაკუთრებით ღორის ხორცის წარმოების გადიდებაში. ჩრდილოეთ კავკასიის კოლმეურნეობებს ყველა შესაძლებლობა აქვთ გააორკეცონ ღორის ხორცის წარმოება და დამზადება. მათი მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით განავითარონ აგრეთვე ისეთი დიდად შემოსავლიანი დარგები, როგორიც არიან მეფაზეობა, მეკვნესეობა, მეფოსტნეობა, ხოლო ყუბანმა, დონმა და სტავროპოლის მხარემ შაქრის ჭარხალიც უნდა მოიყვანონ.

შემდეგ მოხსენება გააკეთა რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრმა ტ. ა. იურკინმა. მეურნეობის 1956 წლის საქმიანობის კრიტიკული ანალიზი, თქვა მომხსენებელმა, ცხადყოფს, რომ სამხრეთის და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა რაიონის საბჭოთა მეურნეობები ჰავის თანაბარ პირობებშიც კი სხვადასხვანაირად იყენებენ თავიანთ რეზერვებს და შესაძლებლობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისა და მათი თვითღირებულების შემცირების შესახებ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. მაგალითად, სტავროპოლის მხარის საბჭოთა მეურნეობებმა მოხნეს 227 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები. 1955 წელთან შედარებით მათ 60 პროცენტით გაადიდეს მარცვლეულის წარმოება და სახელმწიფოსთვის ჩაბარება. ასეთივე წარმატებები მოიპოვეს როსტოვის ოლქის მეურნეობებმაც. ამავე დროს კრასნოდარის მხარეში მარცვლეულის, მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოება არ გადიდებულა, ხოლო კამენსკის ოლქში თავთავიანი კულტურების მეტად დაბალი მოსავალი მიიღეს.

კამათში პირველი გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როსტოვის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. ვ. კისელიოვი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის მდივნის ი. კ. ლებედევის გამოსვლაში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარების საკითხებმა და ცხვრის სულადობის გადიდებაში მხარის ჩამორჩენის მიზეზებმა. ახლა დედაცხვრის სულადობის 70 პროცენტი ზამთრის დოლზე გადაჰყავთ. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მარტო ნაადრევი ნამატის ბატკნებით მხარეში შეიძლება მიიღონ დამატებით წელიწადში სამი ათასი ტონა ნაზი მატყლი.

პარტიის კამენსკის საოლქო კომიტეტის მდივანმა დ. ვ. ენიუტინმა განაცხადა, რომ ოლქის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეასრულონ ხუთწლიანი გეგმის დავალება და წელს გააორკეცონ მარცვლეულის წარმოება.

დღის სხდომა დამთავრდა კრასნოდარის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარის ბ. ფ. პეტუხოვის გამოსვლით.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს წევრები ამხანაგები ვ. მ. ჩურაევი, ვ. პ. მილარშჩიკოვი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. ვ. ვ. მატუკოვიჩი, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო აკადემიის პრეზიდენტი ამხ. პ. პ. ლობანოვი, რუსეთის სფსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის მინისტრი ამხ. ნ. ი. სმირნოვი, რუსეთის სფსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრი ამხ. ვ. ნ. სოკოლოვი, რუსეთის სფსრ პურის პროდუქტების მინისტრი ამხ. ნ. ე. პროშუნინი, რუსეთის სფსრ წყალთა მეურნეობის მინისტრი ამხ. მ. ნ. პოპოვი, რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მინისტრი ამხ. ფ. ვ. კალაბუხოვი.

თათბირს ესწრება უკრაინის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია. სალამოს სხდომაზე გამოვიდა პარტიის ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ საოლქო კომიტეტის მდივანი ა. ი. იაკოვლევი. მან თქვა, რომ ამ რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, რომლებიც ახლა ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ რესპუბლიკაში შეიყარნენ, გასულ წელს ერთგვარი წარმატებები მოიპოვეს. გადიდდა მარცვლეულის, მზესუმზირას, ბოსტნეულის მოსავლიანობა, მატულობს ხორცის წარმოება. დიდი ყურადღება ექცევა გროზნოს მაღალპროდუქტიული ჯიშის ცხვრის მოშენებას. რესპუბლიკაში მიმდინარეობს დაჭაობებული მიწების ათვისება, დიდდება სარწყავი მინდვრების, აგრეთვე ბაღებისა და ვენახების ფართობი. მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვან სამუშაოთა განხორციელებას აბრკოლებს საჭირო ტექნიკის ნაკლებობა.

თათბირმა ინტერესით მოისმინა სტავროპოლის მხარის მოწინავე კოლმეურნეობა „რუსეთის“ თავმჯდომარის სოციალისტური შრომის გმირის ნ. ფ. ლისკინის გამოსვლა.

პარტიის ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ვ. მ. აგაკეცევმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა მარცვლეულის, მზესუმზირას, ბოსტნეულის, რძის, კვერცხის, მატყლის ჩაბარების გეგმა. რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყოველთვის საქმის ცოდნით როდი ეკვეცვა რესპუბლიკის საჭიროებებში. მან მნიშვნელოვნად გაართულა ჩრდილოეთ ოსეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა იმით, რომ მათი საძოვრები და ახალი ფარეხები გადასცა სხვა რესპუბლიკებს, რის მაგვრად მისცა მიწა, სადაც არ არის შესაბამისი საგრძნობები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობაში დიდი წარმატებები მოიპოვეს ყუბანის კოლმეურნეობა „კავკასიის“ წევრებმა. ამ მეურნეობის ხელმძღვანელმა ნ. გ. ტაბაკოვმა განაცხადა, რომ შარშან აქ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვლეული მოვიდა. 1957 წელს იკისრეს დიდი ვალდებულებანი ხორცის, ღორის ხორცის, რძის წარმოების დარგში.

როსტოვის ოლქის სალსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. პ. ჩეხოვსკიმ თათბირის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო პროდუქციის თვითღირებულების საკითხებს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პარტიის დაღისტნის საოლქო კომიტეტის მდივანმა ა. დ. დანიალოვმა, პარტიის ყაბარდო-ბალყარეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ტ. კ. მალბახოვმა, კამენსკის ოლქის შეპეტუხოვკის მტს-ის დირექტორმა ფ. ს. რუდოიმ.

მოწინავე მწველავები

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მწველავი ლ. ქავთარაძე, რომელმაც მეცხოველეობაში მიმდინარე სამეურნეო წლის 5 თვეში საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 1.240 კილოგრამი რძე ნაცვლად გასული სამეურნეო წლის შესაბამის პერიოდში მიღებული 721 კილოგრამისა.

ორთაჭალის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი ა. ფედოროვი, რომელმაც მეცხოველეობაში მიმდინარე სამეურნეო წლის 5 თვეში საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 1.062 კილოგრამი რძე ნაცვლად გასული სამეურნეო წლის შესაბამის პერიოდში მიღებული 663 კილოგრამისა.



გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების“ მწველავი ლ. ბერიაშვილი, რომელმაც მეცხოველეობაში მიმდინარე სამეურნეო წლის 5 თვეში საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 729 კილოგრამი რძე, ნაცვლად გასული სამეურნეო წლის შესაბამის პერიოდში მიღებული 650 კილოგრამისა.

სარესპუბლიკათაშორისო თათბირი სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოების შესახებ

12 მარტს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოების გადიდების შესახებ მოსმენილ იქნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სელექციის კათედრის გამგის პროფესორ ლ. დეკაპრელევიჩის, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალი ტექნიკისა და მანქანათა გამოცდის სამმართველოს მთავარი ინჟინრის ამხ. ფ. ტანაშევის და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეღორეობის, მეფრინველეობისა და სიმინდის დარგის მთავარი ინსპექტორის მოადგილის ამხ. ფ. გოლუბნიჩის მოხსენებანი სექციათა მუშაობის შედეგების შესახებ.

თათბირის მონაწილეებმა დაამტკიცეს სექციებში შემუშავებული რეკომენდაციები სიმინდის მოყვანის აგროტექნიკისა და მექანიზაციის, თესლის გახმობის, სელექციისა და მეთესლეობის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ცხოველების საკვებად სიმინდის გამოყენების დარგში.

შემდეგ გაგრძელდა კამათი მოხსენებათა გამო, რომელშიც გამოვიდნენ აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი ინჟინერი ამხ. მ. ხალილოვი, მემცენარეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სიმინდის განყოფილების გამგე ამხ. ფ. სიდოროვი, მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს მთავარი აგრონომი ამხ. ა. ქოჩარიანი, ბოლნისის რაიონის სოფელ ფაპრალოს კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მეთესლე აგრონომი ამხ. შ. არჩვაძე.

თათბირის შედეგები შეაჯამა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. კ. ნაზარენკომ. იგი შეეხო სიმინდის ჰიბრიდული თესლების წარმოების შემდგომი გადიდების პრაქტიკულ საკითხებს.

თათბირმა დაამთავრა მუშაობა.

(საქდესი).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

★

შრომითი აღმავლობის დღეები

ქუთაისი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ქუთაისის საწარმოთა კოლექტივებმა თებერვალში უფრო ნაყოფიერად იმუშავეს, ვიდრე იანვარში, და ათობით მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს სამშობლოს. ახალი საწარმოო მიღწევებით აღინიშნება მარტის ყოველი დღე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა კოლექტივები. ავტომობილმშენებლებმა, რომლებიც ურალელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების თებერვლის დავალება 110,5 პროცენტით გაანაღდეს, ხოლო საერთო პროდუქციისა — 106,9 პროცენტით. ახლა ისინი გამართულად მუშაობენ და გეგმის გადამეტებით უშვებენ როგორც ავტომობილებს, ისე სათადარიგო ნაწილებს. აღსანიშნავია ისიც, რომ საავტომობილო ქარხანაში მიაღწიეს პროდუქციის თვითღირებულების საგეგმო დონეს.

რიონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის კოლექტივმა ელექტროენერგიის გამომუშაავების იანვარ-თებერვლის დავალება 130 პროცენტით შეასრულა. ენერგიტიკოსებმა საკუთარ მოხმარებაზე ელექტროენერგიის ხარჯვა 28,4 პროცენტით შეამცირეს. დიდი ვადამეტებით გაანაღდეს დავალებები მკერავებმა. სამკერვალო ფაბრიკამ მარტო წლის პირველ ორ თვეში 1.400 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი გამოუშვა.

ქუთაისის მშრომელები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან, თანდათან ამრავლებენ საოქტომბრო შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებებს.



ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროში მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელა ხრახნის გამომჭრელმა რ. ტაბატაძემ, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 150-160 პროცენტით ასრულებს. სურათზე: რ. ტაბატაძე მუშაობის დროს.

ფოტო რ. მორჩილაძისა.

ორ თვეში 915 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება

რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა რიგებში დგას თბილისის შამპანურის ქარხნის კოლექტივი. შარშან იგი სასურსათო მრეწველობის საწარმოთა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში IV კვარტალის შედეგების მიხედვით მეორე ადგილზე გამოვიდა. მეღვინეები ახალი წლიდან უფრო მეტი მონდომებით შეუდგნენ მუშაობას, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს.

საწარმოს კოლექტივმა იანვარ-თებერვლის დავალება გადაჭარბებით შეასრულა, შრომის ნაყოფიერება 4,5 პროცენტით გაზარდა და სამშობლოს 915 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება მისცა.

საამქროთა შორის შეჯიბრებაში დაწინაურდა შამპანურის ჩამომსხმელი საამქრო, სადაც უფროსად ლ. ლობჟანიძეა. ჩამომსხმელებმა გასული ორი თვის გეგმა 110,2 პროცენტით შეასრულეს და ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს.

საუკეთესო შრომითს წარმატებებს აღწევენ შამპანურის ჩამომსხმელები ს. ბაჩანაშვილი და რ. ლარინა, გაფორმების საამქროს მუშები გ. ბუდაღაშვილი, ო. გაგლოშვილი და კ. ჯაბიაშვილი. ისინი ყოველდღიურ დავალებას 140-160 პროცენტით ასრულებენ.

★

ზესტაფონელ რკინიგზელთა წარმატებები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რკინიგზის ზესტაფონის სადგურის კოლექტივი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის უკეთესი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მოსაპოვებლად ქუთაისელ რკინიგზელებს ეჯიბრება, ენერგიულად იბრძვის ტვირთზიდვის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. თებერვალში სადგურის კოლექტივმა გეგმა ორმაგად გაანაღდა და საგრძნობლად შეამცირა ვაგონების მოცდენა.

საწარმოო დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებენ მატარებელთა შებდგენლები ს. მერკვილაძე, ბ. ხიჯაკაძე, მ. ხაჩიძე, გადამბმელები ვ. ვარდუკაძე, ვ. თხელიძე.

ზესტაფონელმა რკინიგზელებმა გადაწყვიტეს პირველი კვარტალის გეგმა შეასრულონ არჩევნების დღისათვის — 17 მარტისათვის.

ბეუჟესი სრული სიმძლავრით მუშაობს

მახარაძე. (საკ. კორ.). დამთავრდა მდინარე ბეუჟზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის — ბეუჟესის მესამე აგრეგატის დამონტაჟება. რამდენიმე დღის წინათ ეს აგრეგატი ამუშავეს და ქსელში ჩართეს.

ამჟამად ბეუჟის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე უკვე 12.000 კილოვატს აღწევს. წელს აქ უნდა დამთავრდეს დამატებითი სამუშაოები კაშხალის უბანზე, მოასფალტებულ იქნას გზა მახარაძიდან ბეუჟესამდე.

აღგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ

★

საარჩევნო უბანი ამ დღეებში

თბილისის კალინინის რაიონის № 9 საარჩევნო უბანი და მასთან არსებული აგიტპუნქტი ამ დღეებში ამომრჩეველთა თავმეყრის ცენტრად იქცა.

ამომრჩევლებისათვის ეწყობა ლექციები, მოხსენებები, კონცერტები. ამომრჩეველთა ყურადღებას იპყრობს საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა, ფოტოსტენდები, კედლის გაზეთ „ამომრჩევლის ხმის“ შინაარსიანი ნომრები. განსაკუთრებით დიდი გამოცოცხლებაა საარჩევნო უბანში საღამოობით. ამომრჩევლები მოდიან ტელეგადაცემათა საყურებლად, ახალი ყურნალ-გაზეთების წასაკითხად.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა აგიტპუნქტი (გამგე ა. შავიშვილი). აგიტატორებისათვის სისტემატურად ეწყობა აგიტსემინარები, თათბირები. ამის შედეგიც არის, რომ აგიტატორები ცოცხლად და საინტერესოდ მართავენ საუბრებს მოსახლეობაში. აგიტატორებმა ა. ვაშაკიძემ, ვ. ითონიშვილმა, ჟ. რუხაძემ, რ. ირემაშვილმა, ც. ხუნდაძემ კარგი მუშაობით ამომრჩეველთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს. ეს აგიტატორები არ კმაყოფილდებიან სააგიტაციო საუბრების მოწყობით. ისინი ამავე დროს მასობრივ მუშაობას ეწევიან მოსახლეობაში, აწყობენ ექსკურსიებს მუზეუმების, თბილისის ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად და სხვ.

განსაკუთრებული აქტივობით მიეწყო ამომრჩეველთა შეხვედრა დეპუტატობის კანდიდატებთან. ამჟამად მზადდება ხალხთა მეგობრობის საღამო.

საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილია განათებით, ტელეფონით, ამომრჩეველთათვის დასაგზავნად მომზადებულია მოსაწვევი ბარათები არჩევნების დღის, ადგილის და ამომრჩეველთა სიაში მათი რიგითი ნომრის აღნიშვნით.

ა. ჯანჯღავა,

ქ. თბილისის კალინინის რაიონის № 9 საარჩევნო უბნის ხაუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

შუამთის აგიტპუნქტში

ვანიდან სამტრედიისაკენ მიმავალი მოასფალტებული საავტომობილო გზის მეექვსე კილომეტრზე — სოფლის ცენტრში ლამაზად მორთული კაპიტალური შენობა დგას. ეს სოფელ შუამთის კულტურის სახლია, რომელშიც მოთავსებულია ვანის რაიონის № 18 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტი. აქ საღამოობით ბევრი ამომრჩეველი იკრიბება.

საინტერესო საუბრებს აწყობენ აგიტატორები ა. ღვინიანიძე, თ. სანებლიძე და სხვები. ისინი ამომრჩევლებს მოუთხრობენ საბჭოთა საქართველოს წარმატებების შესახებ, განუმარტავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებებს. სისტემატურად იმართება ლექცია-მოხსენებები, კონცერტები. **(საკ. კორ.).**

★ ★

დეპუტატობის კანდიდატები

მაირ თავართქილაძე



ხულოს მაღალმთიან რაიონში ბევრი მხცოვანი კოლმეურნე თავდადებული შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევა. მათ შორის აღსანიშნავია სოფელ დეკანაშვილების XVIII პარტყრილობის სახელობის „კოლმეურნეობის თამბაქოს სანერგის გამგე მაირ თავართქილაძე. ათი წელია უძღვება იგი ამ საქმეს, და არ ყოფილა შემთხვევა, რომ სანერგეს კოლმეურნეობისათვის ჯანსაღი ჩითილები მოეკლოს. მან მარტო შარშან მიიღო 1,5 მილიონამდე ძირი საღი ჩითილი, რომლითაც უხვად მოამარაგა როგორც თავისი კოლმეურნეობა, ისე მეზობელი კოლმეურნეობებიც.

მ. თავართქილაძე განსაკუთრებით ზრუნავს სასათბურო მეურნეობის სანიმუშოდ მოწყობისათვის, იგი ზამთარშივე ამზადებს სათბურების ჩარჩოებს, აგროვებს საკვებ ფენას, თებერვლის მეორე ნახევარში თესავს თამბაქოს, ჩითილის ნაწილი გამოჰყავს ღია კვლებში. თვალსაჩინოებით უვლის სათბურებში და ღია კვლებში დათესილ თამბაქოს, სისტემატურად წმენდს სარეველა ბალახებისაგან, დამატებით კვებავს და რწყავს.

მაირ თავართქილაძე აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიც არის: სასოფლო საბჭოს ერთ-ერთი უძველესი დეპუტატია და საქმით ამართლებს ხალხის მსახურის სპატიო მოვალეობას. მოვიყვანთ მისი სადეპუტატო მოღვაწეობის რამდენიმე დამახასიათებელ ფაქტს.

კოლმეურნეობის მინდვრები და პლანტაციები არ ირწყვებოდა, ამასთან ნიადაგის დიდი დაქანების გამო წვიმებისაგან სისტემატურად ირეცხებოდა. ამის გამო მცირდებოდა თამბაქოს, სიმინდისა და სხვა კულტურების მოსავლიანობა. მ. თავართქილაძის ინიციატივით 1955 წელს დაიწყო მდინარე უჩხოდან 3 კილომეტრზე მეტი სიგრძის სარწყავი არხის გაყვანა. ახლა ამ არხით უკვე ირწყვება ათობით ჰექტარი თამბაქოს პლანტაციები და სიმინდის ნათესები. ამან საგრძნობლად გაზარდა მოსავლიანობა.

დეპუტატი ზრუნავს ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისა და საყოველთაო სავალდებულო სწავლების განუხრელად განხორციელებისათვის. მეხუთეკლასელი ეთერ თავართქილაძე მშობლების მიზეზით აშ რამდენიმე წლის წინათ სკოლას ჩამოშორდა. დეპუტატი არაერთხელ ესაუბრა ეთერის მშობლებს და დაარწმუნა ისინი გოგონას სწავლის გაგრძელების აუცილებლობაში. ეთერი სკოლას დაუბრუნდა და ამჟამად წარმატებით სწავლობს მერვე კლასში.

ენერგიული შრომა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა შესაფერისად დაუფასდა მ. თავართქილაძეს. თანასოფლელებმა იგი კვლავ ერთსულოვნად დაასახელეს სასოფლო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ამომრჩევლები დარწმუნებული არიან, რომ მ. თავართქილაძე მომავალშიც უმწიკვლოდ ემსახურება სოფელს, პირნათლად გაამართლებს ამომრჩეველთა დიდ ნდობას.

დ. პაიჭაძე.

პატრიოტი მწყემსი

ო. ახლოური.

ლენინგორი. (საკ. კორ.). ოთარ ვასილიძე ახლოურმა 1955 წელს დაამთავრა ლარგვისის საშუალო სკოლა. პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილმა ახალგაზრდამ სურვილი გამოთქვა მწყემსად წასულიყო ცხვარში. მალე მას ყველაზე მეტმა კოლმეურნეებმა დედაცხვრის ფარა ჩააბარეს. პატრიოტი მწყემსის სიყვარულმა საქმისადმი თავი იჩინა საზაფხულოდ იალაღებზე ყოფნის დროს, შემდეგ მან საუკეთესოდ გამოაზამთრა ცხვარი ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე. მიუხედავად სუსხიანი ზამთრისა, მთლიანად შეინარჩუნა ნამატი და მიაღწია ცხვრის მაღალ პროდუქტიულობას. 20 წლის ჭაბუკმა მოკლე ხანში გამოცდილ მეცხვარეთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ოთარ ახლოურის პირველი წარმატებანი მთიელებმა ცხვრის მშობლიურ მთებში დაბრუნებისას აღნიშნეს. მას „მწყემსის დღეს“ ლარგვისში ფასიანი საჩუქრები გადასცეს, ხოლო ლარგვისის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა შეხვედრა მოუწყვეს. ბევრმა მეთერთმეტეკლასელმა ახლოურის მაგალითისამებრ სურვილი განაცხადა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მეცხვარედ წავიდეს.

ახალგაზრდა მწყემსი შარშან კიდევ უფრო დიდი მონდომებით ემზადებოდა ცხვრის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის. ახლა იგი ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე იმყოფება.

დაიწყო დოლი. ახლოურს დღედაღამ არ ეძინა. იგი თავს დასტრიალებდა თვითეულ დედაცხვარს, ნამატს. ნამატმა 80 პროცენტს გადააჭარბა. ბატკანი მთლიანად შენარჩუნებულია.

თანასოფლელებმა ოთარ ახლოური სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს. მისი კანდიდატურა რეგისტრირებულია საოლქო საბჭოს არჩევნების დადიანეთის საარჩევნო ოლქში.

გაზეთების ფურცლებზე

ორი რესპუბლიკის მშრომელთა შეჯიბრება

უკვე მეორე წელია, რაც ერთმანეთს ეჯიბრებიან აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მშრომელები. ამას წინათ ბათუმში იყო სოხუმის მრეწველობის მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვ. ჩიქოვანი. დელეგაცია დაესწრო ბათუმის საწარმოების მოწინავეთა საქალაქო შეკრებას, რომლის მონაწილეებმა შეაჯამეს გასული წლის შედეგები და სოხუმელ თანამომძეებთან გააფორმეს სოციალისტური შეჯიბრების ახალი ვალდებულებანი. ქალაქ სოხუმში აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ შეკრებას ესწრებოდა აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელთა დელეგაცია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის რ. კომახიძის ხელმძღვანელობით. ორივე რესპუბლიკის მშრომელებმა გადაწყვიტეს განაგრძონ შეჯიბრება და იკისრეს ახალი ვალდებულებანი მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით განაღდებისათვის.

ორი რესპუბლიკის მშრომელთა საქმიანობაზე, მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაზე, იმაზე, თუ როგორ იღწვიან ისინი მეექვსე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განაღდებისათვის, გაზეთებმა **„საბჭოთა აჭარამ“** და **„საბჭოთა აფხაზეთმა“** ამას წინათ დაბეჭდეს შემცვლელი გვერდები. როგორც აჭარის, ისე აფხაზეთის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები გაზეთებში დაბეჭდილ წერილებში აღნიშნავენ, რომ სოციალისტური შეჯიბრება დიდად დაეხმარა მათ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალ მკვეთრ აღმავლობაში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებაში.

შემცვლელ გვერდებში დაბეჭდილი მასალები ნათელ წარმოდგენას იძლევა სოციალისტური შეჯიბრების შედეგად ორი ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევებზე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მუშაობა შეასუსტეს, ყველადობამ იკლო.“

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში მაღლებული იყო ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებში, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისა და პირუტყვის გამოზამთრების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომის ბიურომ განიხილა აღნიშნული წერილი, სწორად ცნო კრიტიკა და დასახა საჭირო ღონისძიებანი რაიონის კოლმეურნეობებში პირუტყვის მოვლისა და წველადობაში ჩამორჩენის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად რაიონის კოლმეურნეობებს პირუტყვის მოვლისა და პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში ახლა შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვთ.

ეს იყო შარშან შემოდგომაზე.

დუშეთის მტს-ის მთავარი აგრონომი გიორგი თანიაშვილი ადრე დილით სოფელ არანისის კოლმეურნეობის ფართობში შესულიყო, სათესი მანქანიდან ერთი მუჭა ხორბალი ამოელო და გაჯავრებული გაიძახოდა:

— აბა ეს რასა ჰგავს, არა გრცხვენიათ, როდის ისწავლით მიწისადმი პატივისცემას?..

გიორგის ყვირილზე ტრაქტორისტს ვლადიმერ ყარსიმაშვილს მანქანა გაეჩერებინა და დარცხვენილი ჩუმად იჯდა კაბინაში, ხოლო კოლმეურნეობის უმცროსი აგრონომი ლიზა ბადაგაძე ამაოდ ცდილობდა თანიაშვილის დაწყნარებას.

— პატივცემულო გიორგი, პატივცემულო გიორგი... აგერ მერამდენეჯერ იმეორებდა იგი, მაგრამ თანიაშვილი ისე იყო გაცეცხლებული, რომ მისი დაწყნარება შეუძლებელი გახდა.

რატომ?

იმიტომ, რომ, მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, კოლმეურნეობაში მაინც უკონდიციო თესლს თესავდნენ.

პარტიის რაიკომის ბიურომ ლიზა ბადაგაძეს მკაცრი სასჯელი დაადო. რა თქმა უნდა, არც ტრაქტორისტს გადაუსვეს თავზე ხელი, მაგრამ ეს ღონისძიება საკმარისი არ აღმოჩნდა. რამდენიმე ხნის შემდეგ აგრონომები უხეშად დაარღვიეს ტონჩის, მლაშის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

ასეთი შემთხვევები ერთი და ორი როდია. ჩანს, დუშეთის რაიონში სუსტად იბრძვიან აგროწესების ზუსტად დაცვისათვის. ამის შედეგია, რომ კოლმეურნეობებში წლითიწლობით დაბალ მოსავალს იღებენ.

სამწუხაროდ, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას რაიონში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

1953 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა ფართოდ გამოიყენეს მინერალური სასუქები და შედეგიც კარგი მიიღეს. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 18 ცენტნერი სიმინდი და 10 ცენტნერზე მეტი ხორბალი. კოლმეურნეები პრაქტიკულად დარწმუნდნენ მინერალური სასუქების დიდ სარგებლიანობაში.

უკანასკნელ წლებში პირიქით მოხდა, კოლმეურნეობები ნაკლებად ან სულ არ იყენებდნენ მოსავლიანობის ზრდის ამ საუკეთესო საშუალებას. შარშან, მაგალითად, ნაცვლად 1.000 ტონისა მინდვრად გატანილ იქნა მხოლოდ 108 ტონა მინერალური სასუქი.

მჭადიჯვრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ახლაც შემოსატანი აქვს 100 ტონა სასუქი. ჩვენ ვესაუბრეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნ. წიკლაურს, რომელმაც გვითხრა — რა ვქნათ, ამ საქმისათვის ტრანსპორტი არ გვყოფნისო. ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობას აქვს ავტომანქანა. ამას გარდა, სოფელში აღრიცხულია 43 ცხენ-ურემი. რკინიგზის სადგურამდე არც ისე შორსაა, და, ცხადია, არსებული საშუალებებით სასუქის გადმოზიდვა სულ რაღაც ორ დღეში შეიძლებოდა.

ასეთივე მდგომარეობაა ორგანული სასუქის გამოყენების საქმეშიც.

განა შესაწყნარებელია?

დუშეთის რაიონში უარიგდებიან აგროტექნიკის უხეშ დარღვევებს

სოფელ ლაფანაანთკარში მეცხოველეობის ფერმის ახლოს 2 ათასამდე ტონა ნაკელი ყრია. მთელი ზამთრის განმავლობაში მხოლოდ 30 ტონა სასუქის გატანა მოახერხეს. ამ მდგომარეობას გულდამშვიდებით შესცქერიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფ. ნანობაშვილი და აგრონომი შ. გომელაური.

ნელი ტემპით აწარმოებენ ნაკელის გატანას მლაშის, ტონჩის და ციხევდავის კოლმეურნეობებში.

აგროტექნიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ხვნა-თესვის ვადების მტკიცედ დაცვა. არც ამ მხრივ არის სახარბიელო მდგომარეობა. დუშეთის მტს-ი თითქმის ყოველწლიურად არღვევს სამუშაოთა ჩატარების ვადებს. შარშან გაზაფხულზე თესვის ვადები დაირღვა 15 კოლმეურნეობაში.

რაიონში არ ხორციელდება ისეთი პროგრესული მეთოდები, როგორიც არის თავთავიანი კულტურების ჯვარედინად თესვა, ხოლო სიმინდისა ქვადრატულ-ბუდობრივად. უფრო მეტი, ზოგ კოლმეურნეობაში იძულებული არიან მამაპაპურად ხელით თესონ, რადგან მტს-ს საკმარისად არა აქვს სათესები.

შარშან კოლმეურნეობაში შემოიღეს თესლბრუნვა, მაგრამ ეს ღონისძიება ჯერჯერობით ყველგან როდი ხორციელდება.

არაგვისპირის, ბულაჩაურის, ჭოპორტის, ლამოვანის, მჭადიჯვრის და ბაზალეთის ტბის ნაპირას მდებარე კოლმეურნეობებში შეიძლება სარწყავი არხების გაყვანა, მაგრამ ამ საქმეს ყურადღება არ ექცევა. რა თქმა უნდა ყველაფერი რაიონის ხელმძღვანელობასა და კოლმეურნეობებზე როდია დამოკიდებული. ამ საქმეში საჭირო და აუცილებელია რესპუბლიკური სამეურნეო ორგანოების დახმარება.

...არაგვის ხეობაში გაზაფხული ძალაში შედის. ბარის ზონის ბევრი კოლმეურნეობა მინდვრის სამუშაოებს შეუდგა.

ამ დღეებში კვლავ შევხვდით ძველ ნაცნობს გიორგი თანიაშვილს. უცნაური კია, მაგრამ იგი ისევ გაჯავრებული იყო. სოფელ ბულაჩაურის კოლმეურნეობის ფართობში ტრაქტორისტ ხვთისიაშვილს იმ დროს წასწრებოდა, როცა უწინასაბნისოდ ხნავდა.

აგრონომი აღელვებული იქნევდა ხელებს და დროდადრო დარცხვენილი გვიყურებდა, თითქოს უსიტყვოდ ამბობდა, რა ვქნა, მარტო ჩემი გაბრაზებით არაფერი გამოდისო.

რა თქმა უნდა, აგროწესების დარღვევის შემთხვევები არ იქნებოდა, პარტიის დუშეთის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი აგროტექნიკის მდგომარეობას ღრმად რომ სწვდებოდნენ. რაიონში ოცდახუთზე მეტი აგრონომი მუშაობს, რომლებიც ხშირად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ ღვიძლ საქმეს — აგროტექნიკის დაცვას.

გამოდის, რომ რაიონში შეურიგდნენ აგროტექნიკის უხეშად დარღვევის ფაქტებს, რაც წლითიწლობით მეორდება.

განა ეს შესაწყნარებელია?

ა. თოდუაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პარტიული კონტროლის ძალა

★

პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობის გამოცდილებიდან

★

ქუთაისელმა მემაუდეებმა 1956 წლის საწარმოო გეგმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით ნახევარ მილიონზე მეტი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. ამასთან გადიდდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, გაუმჯობესდა ხარისხი და ნედლეულის მობმარნეობით ხარჯვით დაზოგილ იქნა 200 ათასი მანეთი.

ამ წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანია ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის წვლილი. უნარიანად იყენებს რა სკკპ წესდებით მისთვის მინიჭებულ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, პარტიული ორგანიზაცია საწარმოს კომუნისტებს, მთელ კოლექტივს რაზმავს და წარმართავს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად.

პარტბიუროს სხდომებზე და კომუნისტთა საერთო კრებებზე სისტემატურად განიხილავენ წარმოების გადაუდებელ საკითხებს, ისმენენ საამქროთა უფროსების ანგარიშებს და იღებენ სათანადო გადაწყვეტილებებს, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს ნაკლოვანებათა გამოსწორებას. ფაბრიკაში მოეწყო ტექნიკური კონფერენცია, მაღალი აქტივობის ვითარებაში ჩაიარა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ.

პარტიული ორგანიზაცია ადმინისტრაციასთან ერთად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მოწინავე გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვისათვის. სულ ცოტა ხნის წინათ ფაბრიკაში არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული მოწინავეთა ფეიქართა გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების საქმე. მქსოველი ე. ეყენკოვა ყოველდღიურ დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებდა და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას იძლეოდა, ხოლო მის გვერდით მომუშავენი — რ. ვისოცკაია, ვ. კუხიანიძე, ა. მასკო და სხვები დიდად ჩამორჩებოდნენ, დავალებას 80-85 პროცენტით ასრულებდნენ.

ასეთივე მდგომარეობა იყო სართავ საამქროში, სადაც დაბალი კვალიფიკაციის გამო მუშათა თითქმის 25 პროცენტი ვერ ასრულებდა ნორმას.

პარტბიუროს გადაწყვიტა შეესწავლა ე. ეყენკოვას გამოცდილება და იგი ყველა მქსოველის კუთვნილებად ექცია. შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ე. ეყენკოვა ბაქოს გამოცვლას ანდომებდა 1,7 წამს ნაცვლად 2,5 წამისა, ქსელის ძაფის წყვეტიანობის ლიკვიდაციას უზრუნველყოფდა 6,1 წამში ნაცვლად 10,9 წამისა, მისაქსელი ძაფის წყვეტიანობის ლიკვიდაციას კი 7 წამით ნაკლებ დროში ახერხებდა. განაზოგადა რა ეს გამოცდილება, პარტბიუროს უზრუნველყო ამ გამოცდილების ფართოდ გავრცელება. ახლა ასზე მეტი მქსოველი ა. ეყენკოვას მეთოდით მუშაობს და ყოველდღიურ ნორმებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს. ნოვატორთა დახმარებით სართავ საამქროში დანერგილ იქნა მრთველდ. მოდებაძის მუშაობის გამოცდილება, რის შედეგად ამჟამად ყველა მრთველი მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებას.

პარტიული ორგანიზაცია თვითდამშვიდებას როდი ეძლევა საერთო კარგი მაჩვენებლებით, არამედ ამ მაჩვენებლების იქით იგი ამჩნევს და სააუკარაოზე გამოაქვს საწარმოს მუშაობის ესა თუ ის ნაკლი. გასული წლის პირველ ნახევარში ფაბრიკაში გადაჭარბებით სრულდებოდა გეგმები, მაგრამ დაბალი იყო პროდუქციის ხარისხი. ამას ძირითადად ის იწვევდა. რომ საჩეჩ-სართავი საამქრო არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა. ნართი შემადგენლობის მხრივ არ იყო თანაბარი, რის გამო შემდგომი გადამუშავების დროს დიდდებოდა წყვეტიანობა და უარესდებოდა ხარისხი. პარტბიუროს სხდომაზე, რომელზეც საჩეჩ-სართავი საამქროს მუშებიც ესწრებოდნენ, ღრმა ანალიზი გაუკეთეს ჩამორჩენის მიზეზებს. გამოირკვა, რომ, გარდა ზემოთ დასახელებული მიზეზისა, უხარისხობას იწვევდა ცუდად დამზადებული ფთილა, რაც აპარატების შეუკეთებლობით იყო გამოწვეული. ნაკლები ყურადღება ექცეოდა ოსტატთა თანაშემწეების კვალიფიკაციის ამაღლებას, ცუდად იყო მოწყობილი შრომა. მრთველებს თვითონ უხდებოდათ ყუთებისა და მასრების მიტანა სამუშაო უბანზე. ცვლის უფროსები კ. გოჩელაშვილი, ი. ფიჩხაძე, ტ. ინანეიშვილი და ოსტატის თანაშემწე ვ. გოგელიძე ვერ ახორციელებდნენ პრაქტიკულ ღონისძიებებს ხარისხის გაუმჯობესებისათვის. პარტბიურომ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ქმედითი ღონისძიებანი დასახა, ხოლო შემდეგ უზრუნველყო ამ ღონისძიებების პრაქტიკულად განხორციელება. ყოველივე ამის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა აპარატების შეკეთების საქმე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა დაზგა-დანადგარების პროფილაქტიკურ რემონტს. დაწესდა კონტროლი ფთილის გამოშვების ხარისხზე, რისთვისაც ყოველდღიურად დგება დიაგრამები ქსელისა და მისაქსელის ნორმების სწორად დასაცავად. მრთველები უზრუნველყოფილი არიან ყუთებითა და მასრებით. ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელებით მკვეთრად გაუმჯობესდა ნართის ხარისხი. უკანასკნელ ხანებში გამოშვებული ნართის 97 პროცენტი მხოლოდ პირველი ხარისხისაა, რაც დიდად სჭარბობს გეგმით გათვალისწინებულს.

პარტიის XX ყრილობამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა დაზგა-დანადგარების მოდერნიზაცია, მოქმედი მოწყობილობის წარმადობის გადიდება. ამ მხრივ ფაბრიკაში ყველაფერი რიგზე როდი იყო. 24 საქსოვი დაზგა სავსებით მოძველებულია და დაწესებული პროდუქციის ნახევარსაც ვერ იძლევა. პარტბიურომ მკვეთრად დააყენა დაზგა-დანადგართა მოდერნიზაციის საკითხი. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ადმინისტრაციამ საქსოვი საამქროს უფროსი ი. ქილარჯიანი, იხეინერი ჟ. ვაშაყმაძე და ოსტატი რ. ქორიძე სპეციალურად მიავლინა მოსკოვის ოლქის მაუდის ფაბრიკებში, სადაც მათ ერთი თვე დაჰყვეს, იქ დაწვრილებით შეისწავლეს დაზგების მოდერნიზაციის საქმეში რუს სპეციალისტთა გამოცდილება. დაბრუნდნენ თუ არა მოსკოვის ოლქიდან, ისინი შეუდგნენ მუშაობას და მოკლე ხანში კიდევაც დაამთავრეს № 15 დაზგის მოდერნიზაცია. ეს დაზგა ახლა 20-25 პროცენტით მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე წინათ. დანარჩენი დაზგების მოდერნიზაციაც დაკვრითი წესით მიმდინარეობს და სულ მალე იქნება დამთავრებული.

პარტიული კონტროლი გულისხმობს, რომ კომუნისტები აქტიურად მონაწილეობდნენ საწარმოო საკითხების განხილვაში, ეხმარებოდნენ ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკებს, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს რწმუნებულ პირებს, მათ წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრაში. პარტიული კონტროლი ნაყოფიერია მაშინ, როცა იგი ნამდვილად მასობრივია, როცა მას არ ახლავს სამეურნეო საქმიანობისადმი წვრილმანი მეურვეობა და სწორად არის შეხამებული ერთმმართველობის პრინციპთან, არ ლახავს სამეურნეო მუშაკთა უფლებებს. კომუნისტებმა ჭ. ლომაძემ, ბ. გაბადაძემ და სხვებმა პარტბიუროში დააყენეს საკითხი, რომ საქსოვ და საჩეჩ-სართავ საამქროებში ნედლეულის ეკონომიის ნაცვლად გადახარჯვას აქვს ადგილი. როგორც ეტყობოდა, საამქროთა ხელმძღვანელებმა შეასუსტეს ყურადღება ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვისადმი. ისინი ანალიზს არ უკეთებდნენ მდგომარეობას, მოუგვარებელი იყო ნედლეულის ხარჯვის აღრიცხვა ცვლების მიხედვით, არ ხდებოდა ნარჩენების შეგროვება და სხვ. პარტბიურომ თავის ერთ-ერთ სხდომაზე გულდასმით იმსჯელა ამ საკითხზე და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ფაბრიკის დირექტორს და საამქროთა ხელმძღვანელებს დაავალა მიეღოთ ქმედითი ზომები ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვისათვის. პარტბიურომ თავისი წევრების, საამქროთა პარტორგანიზაციების, უპარტიო აქტივისტების საშუალებით მტკიცე კონტროლი დააწესა ამ დადგენილების შესრულებაზე, რამაც კაოგი შედეგი გამოიღო.

პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს წარმოების გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტების სწორად განაწილებას, მათი ავანგარდული როლის ამაღლებას. კომუნისტისათვის საკმარისი არ არის ის, რომ პირად საწარმოო დავალებას ასრულებდეს. ამასთან ერთად, იგი უნდა იყოს მის ირგვლივ მყოფ მუშათა მგზნებარე აგიტატორი, ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, ზრუნავდეს მასებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებისათვის. ფაბრიკის ყველა კომუნისტი წარმატებით ასრულებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას.

უნარიანად ახორციელებს რა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, პარტიული ორგანიზაცია ერთი წუთითაც არ ივიწყებს თავის უპირველეს მოვალეობას — მასებში პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას. პარტბიუროს სხდომებსა და კომუნისტთა კრებებზე მიღებულ დადგენილებებში, მათ შორის სამეურნეო საკითხებზეც, დიდი ადგილი აქვს დამომბილი პარტიულ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს. ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში პარტიული ორგანიზაცია ფართოდ იყენებს პროპაგანდისტებს, ლექტორებსა და აგიტატორებს, ძირეულ პრესას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კადრების ეკონომიურ სწავლებას. იმისათვის რომ უკეთ უხელმძღვანელო და კონტროლი გაუწიო სამეურნეო საქმიანობას, საჭიროა კარგად იცნობდე წარმოების ეკონომიკას. მიმდინარე სასწავლო წელს ფაბრიკაში შეიქმნა და ნაყოფიერად მეშაობს კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარი, რომელსაც მთავარი მექანიკოსი ს. ღვინერია ხელმძღვანელობს. სემინარში გაერთიანებული არიან საამქროთა უფროსები და პარტორგანიზაციის მდივნები, ცვლის უფროსები, ოსტატები. ს. ღვინერიას პროპაგანდისტული მუშაობის 15 წლის გამოცდილება აქვს, იგი მაღალ დონეზე წარმართავს სემინარის მუშაობას. ერთ-ერთ მეცადინეობაზე ახალგაზრდა ინჟინერმა ც. კიზირიამ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „მრეწველობაში კოოპერირებისა და სპეციალიზაციის განვითარება“, ხოლო ოსტატმა ტ. გვარამაძემ თავისი მოხსენება ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის საკითხის გაშუქებას მიუძღვნა.

ფაბრიკის პარტორგანიზაცია (მდივანი გ. ჩუბინიძე) პარტიულ მუშაობას სამეურნეო საქმიანობისაგან მოწყვეტით კი არ ეწევა, არამედ მჭიდროდ უკავშირებს მას, რაზმავს საწარმოს კოლექტივს ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის საბრძოლველად.

დეკემბერში ფაბრიკაში გაიმართა საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრება. მოხსენებაში და კომუნისტთა გამოსვლებში სერიოზული ყურადღება მიექცა პარტიული ორგანიზაციის მუშაობას ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელების დარგში, იმას, თუ როგორ უწყობს ეს ხელს ერთმმართველობის განმტკიცებას, წარმოების შემდგომ ზრდასა და განვითარებას. კომუნისტებმა დასახეს ღონისძიებანი პარტიული კონტროლის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ამჟამად ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში 140 კომუნისტს აერთიანებს, უფრო მეტი ძალით აჩაღებს ბრძოლას სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის და ამ საფუძველზე მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის საწარმოო დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

ვ. შავგულიძე,

ბ. მეფისაშვილი.

რატომ ჯდება ძვირი ახალციხის ქვანახშირი?

ამას წინათ საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის ინიციატივით გაიმართა ახალციხელი მეშახტეების ეკონომიური კონფერენცია, რომელმაც განიხილა ახალციხის ქვანახშირის საბადოს დამუშავებასთან დაკავშირებული მთელი რიგი ტექნიკურ-ეკონომიური საკითხები, მათ შორის ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების საკითხი.

ახალციხის შახტები ყველაზე ახალი შახტებია ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში. თუ ტყიბულში ქვანახშირის ამოღება 1847 წელს დაიწყეს, ხოლო ტყვარჩელში — 1935 წელს, ახალციხის ქვანახშირის საბადოს დამუშავება არსებითად 1950 წლიდან დაიწყო. ამიტომ ამ კონფერენციის მიერ ახალციხის ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების გზების განხილვას უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მეშახტეების ეკონომიური კონფერენციის მუშაობა წარიმართა უმთავრესად იმ მიმართულებით, რომ გამონახული ყოფილიყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისა და რუსთავის მეტალურგების თანასწორობით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ შეჯიბრებაში ახალციხელ მეშახტეთა გამარჯვების გზები. მეშახტეებმა იციან, რომ ახლა საჭიროა არა მარტო ქვანახშირის ამოღების გაზრდება, არამედ ამასთან ერთად მთავარია მივაღწიოთ ქვანახშირის მოპოვების შრომატევადობის შემცირებას, თვითღირებულების თანდათან დაკლებას.

ექსპლოატაციის პირველ წლებში ახალციხის ქვანახშირის თვითღირებულება მეტად მაღალი იყო. ამას იწვევდა საბადოს აუთვისებლობა, სამთო წნევის თავისებურებათა ხასიათის არცოდნა. ქვანახშირის თვითღირებულების დინამიკა 1950-1956 წლებში გვიჩვენებს, რომ თუ 1955 წლამდე თვითღირებულება ინტენსიურად მცირდებოდა, — 1956 წელს ტონა ქვანახშირის თვითღირებულება არათუ არ შემცირდა, არამედ კიდევაც გაიზარდა. ამ გარემოებას არ შეიძლებოდა არ მიეპყრო ყურადღება, მით უმეტეს, რომ ახალციხის ქვანახშირის ერთ-ერთი მთავარი მომხმარებელია რუსთავის თბოელექტროცენტრალი, რომელიც ელექტროენერგიით უზრუნველყოფს ჩვენს მეტალურგებს.

ახალციხის ქვანახშირის მაღალი თვითღირებულება გამოწვეულია უმთავრესად ორი მიზეზით — მეშახტეთა შრომის ნაყოფიერების დაბალი დონით და გამონამუშევრების როგორც გამაგრების, ისე ვარგის მდგომარეობაში შენახვის დიდი ღირებულებით. განვლილ წელს ახალციხელ მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება იმავე დონეზე დარჩა, როგორზეც იყო წინა — 1955 წელს, ხოლო ამავე დროს ქვანახშირის თვითღირებულება წინა წლის დონესთან შედარებით 4 მანეთით და 36 კაპიკით გაიზარდა. ეს გამოიწვია შახტებში, სანგრევებში და შახტების ზედაპირზე ახალი ტექნიკის სუსტად დანერგვამ, მეშახტეთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შენელებამ, ფენათა დამუშავების პროგრესული მეთოდების გამოყენებისადმი ერთგვარმა უნდობლობამ.

აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ ახალციხელ მეშახტეთა ზოგი ხელმძღვანელი გადაჭრით ეწინააღმდეგება ლავის ქვეკიბური სანგრევების მეთოდით დამუშავებაზე გადასვლას, თუმცა გამოცდილებამ ამ მხრივ გაცილებით უკეთესი შედეგები გვიჩვენა, ვიდრე ლავის სწორხაზოვანი მეთოდით დამუშავებამ (როგორც ახლა მუშაობენ ახალციხე-ქვანახშირის სამმართველოს პირველ შახტში).

ახალციხის შახტებში შრომატევადად სამუშაოთა მექანიზაციის დონე ჯერ კიდევ ძალიან დაბალია. მონგრეული ქვანახშირის აღება და დატვირთვა უმთავრესად ხელით ხდება. ეს დიდძალ მუშახელს მოითხოვს, თუმცა სავსებით შესაძლებელია მექანიზმების გამოყენება ამ სამუშაოთა შესასრულებლად. მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის მოწინავე შახტებში სანგრევი ხაზის ყოველთვიური წინწაწევა 100-150 მეტრს აღემატება, ახალციხის შახტებში 30-40 მეტრამდე წინსვლას ძლივს ახერხებენ. ეს გამოწვეულია იმით, რომ შახტებში სამთო-მოსამზადებელი და კაპიტალური გამონამუშევრების გაყვანაში სათანადოდ ვერ იყენებენ სამთო მექანიზმებს — კომბაინებს, ქანსატვირთავ მანქანებს და ა. შ. თითქმის ორი წელიწადია მიმდინარეობს დავა — შეიძინონ თუ არა სამთო კომბაინები, ამავე დროს კი ეფექტიანად ვერ გამოიყენებიათ არსებული სამთო მექანიზმები. მათი სრული დატვირთვით გამოყენება კი, ცხადია, დიდად შეუწყობს ხელს ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებას.

დიდი დრო მიაქვს სამაგრი ხე-ტყის მასალის მიზიდვას სანგრევში, ვაგონეტების მიგორებას მიწისქვეშა მატარებლების ფორმირების ადგილებამდე, მეშახტეების მიყვანას სანგრევებში, სამუშაო ადგილებამდე და ა. შ. სამაგრი ხე-ტყის ვაგონებიდან გადმოტვირთვა ხელით ხდება. შემდეგ ეს ხე-ტყე შახტებამდე მიაქვთ ავტომანქანებით, ხოლო თუ რა დიდი შრომატევადობისაა მთელი ეს სამუშაო, ეს ჩანს იქიდან, რომ ახალციხელ მეშახტეებს ყოველწლიურად უხდებათ რამდენიმე ათეული ათასი კუბმეტრი სამაგრი ხე-ტყის მიღება, გადაზიდვა და შახტებში გამოყენება. რასაკვირველია, ვაგონებიდან ხე-ტყის გადმოტვირთვის მექანიზაციით, შახტებში ამ სამაგრი მასალის მისაზიდავად საჰაერო-საბაგირო გზის მოწყობით სამუშაოთა შესრულება ბევრად გაადვილდებოდა. ეს კი დიდ გავლენას მოახდენდა ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებაზე. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს წიაღიდან ამოღებული ფუჭი ქანის თვითსაცლელებით ტრანსპორტირება, რაც ხელს უწყობს ტონა ქვანახშირის თვითღირებულების ზრდას.

ახალციხის შახტებში მიწის ზედაპირზე სამუშაოთა შესრულებაში დაბანდებული მუშახელის რაოდენობა 40 პროცენტს აღწევს. ამის გამო მიწისქვეშა სამუშაოებზე მუშათა მხოლოდ 60 პროცენტია. ჩვენი ქვეყნის მოწინავე შახტებში კი მიწის ზედაპირზე მომუშავეთა რაოდენობა 24 პროცენტს არ აღემატება. და ეს იმიტომ, რომ, ახალციხის № 3 შახტის საჰაერო-საბაგირო გზა და სხვა ობიექტები არასწორად არის აშენებული. შეეძლოთ თუ არა ახალციხის ქვანახშირის შახტების სამმართველოს და საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელებს მშენებლობის პროცესშივე შეემჩნიათ ეს ნაკლოვანებანი და დაუყოვნებლივ მიეღოთ ზომები მათ გამოსასწორებლად? რასაკვირველია, შეეძლოთ, თუ მეტს ინიციატივასა და დაინტერესებას გამოიჩენდნენ.

გაცდენებს ახალციხის შახტებში იწვევს მიწისქვეშა ტრანსპორტის მოუქნელი მუშაობა და შეფერხებები სანგრევებში სამაგრი ხე-ტყის მიწოდებაში. ქრონომეტრაჟულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ცვლაში მომუშავე მეშახტეთა სამუშაო დროიდან 135,3 წუთი ხმარდება ქვანახშირის მონგრევას, 156 წუთი — სანგრევის გამაგრებას, 66,7 წუთი — დამხმარე ოპერაციების შესრულებას, ხოლო გაცდენები სამაგრი მასალის მიუწოდებლობით შეადგენს 94 წუთს. ეს ცხადყოფს იმას, რომ მეშახტეებს ჯერ კიდევ გამოუყენებელი აქვთ ქვანახშირის მოპოვების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების მნიშვნელოვანი რეზერვები.

ქვანახშირის თვითღირებულების ზრდის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს სალიანდაგო მეურნეობის მოუწესრიგებლობა, რის გამო შახტების მუშაობაში ყველაზე „ვიწრო ადგილია“ არა ქვანახშირის მონგრევა, არამედ მონგრეული ქვანახშირის გამოზიდვა. მეშახტეთა სამუშაო დროის თითქმის მესამედი მიაქვს ქვანახშირის გამოზიდვასთან დაკავშირებულ გაცდენებს, რაც უფრო ხშირად გამონამუშევრების ცუდი ტექნიკური მდგომარეობით არის გამოწვეული. ნიადაგის ამობერვა, ლიანდაგის პროფილის შეცვლა, გამონამუშევრის განიკვეთის შემცირება, ვაგონეტების ხშირი ჩავარდნა ლიანდაგში იწვევს ქვანახშირის გამოზიდვის შეჩერებას, რაც თავის მხრივ აფერხებს ყველა სხვა სამუშაოს. ეს ნაკლოვანებანი შეიძლება აღმოვფხვრათ, თუ საქმეს თადარიგიანად და დაკვირვებით მივუდგებით. საკითხი ასე უნდა დავაყენოთ: როგორ სჯობს, ვიმუშაოთ ისე, როგორც მუშაობენ ამჟამად ახალციხის შახტებში, ე. ი. შევურიგდეთ მიწისქვეშა სალიანდაგო მეურნეობის სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას, თუ რამდენიმე დღით შევაჩეროთ ქვანახშირის მოპოვება და შევუდგეთ სალიანდაგო მეურნეობის წესრიგში მოყვანას? (უამისოდ შეუძლებელია სალიანდაგო მეურნეობის და საერთოდ მიწისქვეშა ტრანსპორტის მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოთა შესრულება). არ უნდა დავეჭვდეთ, რომ საერთო ეკონომიური ეფექტი ამ მეორე შემთხვევაში უკეთესი იქნება, ვიდრე ქვანახშირის გამოზიდვის განგრძობა ამობერილი ნიადაგის, დეფორმირებული ლიანდაგის პირობებში. საჭიროა გვახსოვდეს, რომ უბანთა გამსხვილება, ამასთან დაკავშირებით მათი დაქუცმაცების ლიკვიდაცია, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლებასთან ერთად ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების მთავარი რეზერვია. აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, რომ შახტების დაპროექტების საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტმა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის რესპუბლიკურ ფილიალთან ერთად ახალციხის პირობების შესაბამისად დაადგინოს ეკონომიური თვალსაზრისით ქვანახშირის ლავის ყველაზე უფრო ხელსაყრელი პარამეტრები.

ერთდროულად ქვანახშირის რამდენიმე ფენის დამუშავება და დამუშავების ისეთი წესის შემოღება, როდესაც ქვანახშირის ამოღება ხდება არა სიშახტე ველის საზღვრის მიმართულებით, არამედ, პირიქით, საზღვრიდან შახტის მთავარი ხვრელისაკენ, უზრუნველყოფს ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებას სულ ცოტა 20-25 პროცენტით. ასეთი წესით მუშაობა პირველად უნდა განხორციელდეს პირველი შახტის (შახტის უფროსი დ. დობრჯვინიძე) ახალ ჰორიზონტზე. ამ ღონისძიების განხორციელება პირველი შახტის კოლექტივის უაღრესად საპატიო ამოცანას წარმოადგენს.

ახალციხელ მეშახტეებს ყველა საშუალება აქვთ გადალახონ სამთო-გეოლოგიური პირობებით გამოწვეული სიძნელენი, გადაჭრით შეამცირონ ქვანახშირის თვითღირებულება და თავიანთი საბადო გადააქციონ საქართველოს სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული ქვანახშირით მომარაგების უმნიშვნელოვანეს ბაზად, რენტაბელურ საბადოდ.

ე. კანდელაკი,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ქალაქ ფოთში

შრომის ვეტერანები

ზეიმით, გულთბილად გააცილეს ნავსადგურელებმა შრომის ვეტერანები, რომლებმაც ხანგრძლივად იმუშავეს საზღვაო ტრანსპორტზე და ახლა პენსიაზე გადავიდნენ. გემთშემკეთებელი სახელოსნოს მჭედელ კონსტანტინე ბახტაძეს, რომელმაც 50 წელზე მეტი იმუშავა სახელოსნოში, 1.200 მანეთი პენსია დაენიშნა. მან საკუთარი დანაზოგით ააგო საუცხოო საცხოვრებელი სახლი, შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა „პობედა“, კულტურულად მოაწყო ოჯახი. პენსიაზე გადავიდნენ აგრეთვე საზღვაო სადგურის უფროსი ე. გაგუა, მტვირთავი ი. ლაბარტყავა, რომლებსაც დაენიშნათ 1.100 მანეთი თვითეულს. ხულ პენსიაზე გადავიდა 47 ნავსადგურელი.

ახალი საცხოვრებელი სახლები

ამ დღეებში მახარაძის ქუჩაზე დამთავრდა ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ამ სახლის მშენებლობაზე ორ მილიონამდე მანეთი დაიხარჯა. სახლს აქვს ცენტრალური გათბობა, წყალსადენი და კანალიზაცია. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საექსპლოატაციოდ გადაეცემა მეორე დიდი საცხოვრებელი სახლი ქუთაისისა და ჯორჯაძის ქუჩების კუთხეში. წლის ბოლომდე კიდევ აშენდება ხამი საცხოვრებელი სახლი.

გამსვლელი სამეცნიერო სესია

ამახ წინათ აქ გაიმართა ს. ვირსალაძის სახელობის მალარიისა და ხამედიცინო პარაზიტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის XI სარაიონთაშორისო სამეცნიერო გამსვლელი სესია, რომელსაც ესწრებოდნენ დასავლეთ საქართველოს რაიონების, აფხაზეთისა და აჭარის ახლ რეპუბლიკების პარაზიტოლოგიური სადგურების გამგეები, სანეპიდემიური სადგურების მთავარი ექიმები, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და ინსტიტუტის მეცნიერი მუშაები. სესიაზე წაკითხულ იქნა 20-მდე მოხსენება. ექიმებთან ერთად მოხსენებები წაიკითხეს პროფესორმა გ. უანჩაველმა, საქართველოს სსრ მთავარმა თერაპევტმა ვ. გერსამიამ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. გორდაძემ და სხვ.

კ. კოპაზიძე.

• • •

სურათზე: ახალი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი მახარაძის ქუჩაზე.

ფოტო მ. გავრილენკოსი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ეროვნული ბროშურა ქართულ ხელოვნებაზე

ამას წინათ გამოვიდა ქართული შრიფტის ცნობილი მცოდნისა და სპეციალისტის ბ. გორდეზიანის ნაშრომი „ქართული მხედრული შრიფტი“ (ფასწორებული და შევსებული მეორე გამოცემა).

წიგნის პირველ გამოცემას (1954 წელს) ჩვენი პრესა დადებითად კამეტყველია.

წერილობითი თუ ზეპირი შენიშვნები, რომლებიც ამ პერიოდში გამოითქვა აღნიშნულ წიგნზე, ავტორს მხედველობაში მიუღია წიგნის მეორედ გამოსაცემად მომზადების დროს.

წიგნში მოცემულია სისტემატიზებული ნარკვევი და ცნობარი ქართული მხედრული სასტამბო შრიფტის, მისი წარმოშობის ისტორიის, განვითარებისა და სრულყოფის შესახებ. წიგნში საკმაო სიცხადითა და სისრულით არის დახასიათებული შრიფტის ამჟამად არსებული მეურნეობის მდგომარეობა საქართველოში.

ცნობილია, რომ ქართული შრიფტის ისტორია იწყება XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან, უფრო ზუსტად 1629 წლიდან, როცა რომში პირველად ჩამოსხეს ქართული ასოების სასტამბო შრიფტი. საქართველოში ბეჭდვითი საქმის განვითარებისათვის დიდი მუშაობა გასწიეს მეფეებმა ირაკლიმ, ვახტანგ მეექვსემ და ერეკლე მეორემ.

მეცხრამეტე საუკუნეში მიმდინარეობდა შრიფტის შემდგომი სრულყოფა, რაც მეფის ძის თეიმურაზის სახელთან არის დაკავშირებული. მან 1837 წელს პეტერბურგში დაამუშავა ქართული შრიფტის ახალი ნიმუში. ქართული კულტურის სხვა მოღვაწეების (მაგალითად, დ. ჩუბინაშვილისა და სხვების) მიერ მოსკოვსა და პეტერბურგში შექმნილი ასოთა ნიმუშების მიხედვით პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ სხვადასხვა ზომის რამდენიმე შრიფტი დაამზადა.

უფრო გვიან ცნობილმა მწერალმა და მხატვარმა მიხეილ ზალოს-ძე ყიფიანმა არსებული აკადემიური შრიფტის საფუძველზე მოგვცა თანამედროვე ქართული შრიფტის მოზაზულობა, რომელიც სპეციალურმა კომისიამ დაამტკიცა. ამ კომისიაში ქართული ლიტერატურის კლასიკოსი ილია ჭავჭავაძეც შედიოდა. აღნიშნული შრიფტი ვენაში ამოიჭრა და ჩამოსხა და ამიტომაც მიიღო სახელწოდება „ვენური“. შემდეგ გაჩნდა სხვადასხვა სახელწოდების შრიფტი: „პარიზული“, „კ. ლორთქიფანიძის“, „გ. ტატიშვილის“ და სხვ.

ავტორი ქართული შრიფტის განვითარების ეტაპებს ოთხ პერიოდად ჰყოფს და შემდეგ ეხება მხედრული შრიფტის, მეცნიერულ სიზუსტეზე მისი წარმოშობისა და განვითარების საკითხს.

წიგნში მოთავსებულია ქართული მხედრული შრიფტის ტაბულა, რითაც მტკიცდება, რომ ვახტანგ მეექვსის მიერ შექმნილი სასტამბო შრიფტების დედნები დამზადებულია საქართველოში მზატვარ მაღალაძის მიერ.

წიგნში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოცემულია მხედრული შრიფტის განვითარების ნიმუშები. მათ შორის აღსანიშნავია რამდენიმე სტრიქონი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“, რომელიც გამოიცა 1712 წელს ვახტანგ მეექვსის სტამბაში; ნაწყვეტები დავით ბაგრატიონის ნარკვევიდან, რომელიც დაბეჭდა 1800 წელს; 1830 წელს გამოცემული სოლომონ დოდაშვილის „ქართული გრამატიკის“ პირველი გვერდი და სხვ.

სპეციალური თავი აქვს მიძღვნილი იმ მხედრულ შრიფტებს, რომლებსაც 1800-დან 1865 წლამდე მოსკოვსა და პეტერბურგში იყენებდნენ ქართული წიგნების გამოსაცემად.

დასასრულ ავტორი ვრცლად მოგვითხრობს მხედრული შრიფტის შემდგომი განვითარების შესახებ 1865 წლიდან დღემდე.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართული შრიფტის სრულყოფილი განვითარება დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. განსაკუთრებით 1947 წლიდან, მას შემდეგ, რაც შეიქმნა ქართული შრიფტის კომიტეტი, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია ადრე შექმნილი შრიფტების სისტემაში მოსაყვანად და შეუფდა ფორმით ლამაზი და ეკონომიურად ხელსაყრელი ქართული შრიფტების შექმნის მეცნიერული პრობლემათა დამუშავებას. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სარეცენზიო წიგნის ავტორის ბ. გორდეზიანის ნახატის მიხედვით დამუშავებული შრიფტი საბელწოდებით „მკაფიო“, რომელსაც უპირატესობა ენიჭება ფორმის სილამაზისა და ფართობის ეკონომიის თვალსაზრისით. პირველად ეს შრიფტი საქართველოში დამუშავებულ იქნა ზუსტი მეცნიერული გამოანგარიშების საფუძველზე. წიგნში მოცემულია ამ გამოანგარიშებათა მნიშვნელოვანი ელემენტები.

წიგნს დართული აქვს არსებული ქართული შრიფტების გარნიტურთა ნიმუშები სხვადასხვა ზომაზე.

ბ. გორდეზიანის ზემოხსენებული ნაშრომი ფრიად მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს ქართული შრიფტის ისტორიის შესასწავლად და საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობის გასაცნობად.

ი. რუისპირელი.

ახალი წიგნები

ი. ვ. გოეთე — დრამები. თარგმანი გერმანულიდან ვ. ბეწუკელისა. საბლუგამი, თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 14.000, გვ. 494, ფასი 20 მან. 20 კაპ.

ჯ. მილტონი — დაკარგული სამოთხე. დაბრუნებული სამოთხე. თარგმანი ინგლისურიდან ვ. ჭელიძისა. სახელგამი, თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 6.000, გვ. 343, ფასი 20 მან.

ფრანგული ნოველები. თარგმანი ი. ქავეარაძისა. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1956 წ. ტირაჟი 10.000, გვ. 458, ფასი 14 მან. 85 კაპ.

ა. ჩეხოვი — კაშტანკა. თარგმანი პ. ბახტურიძისა. სახელგამი, თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 10.000, გვ. 57, ფასი 3 მან. 70 კაპ.

ნ. პიქბეთი — ლექსები. თარგმანი ფ. ხალვაშისა, ნ. მალაზონიასი, გ. სალუქვაძისა, შ. შუბლაძისა, შ. რიყვასი, ი. ბერიძისა. სახელგამი, ბათუმი, 1956 წელი. ტირაჟი 5.000, გვ. 121, ფასი 4 მან. 50 კაპ.

ახალგაზრდობის სახელისა და ღირსების საქმე

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა და საოფლო-სამეურნეო ორგანოებისადმი. მიმართვის მგზნებარე სიტყვებმა მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა კომკავშირელებისა და მთელი ახალგაზრდობის გულში. აფხაზეთის ახალგაზრდა მემინდვრეები და მეცხოველეები, საქართველოსა და მთელი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობასთან ერთად, გამოხატავენ თავიანთ მზადყოფნას გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ 1957 წელი გახდეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის კიდევ უფრო მძლავრი აღმავლობის წელი.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომლებიც აღფრთოვანებულნი არიან სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ძალღონის დაუზოგავად იბრძვიან, რათა უმოკლეს ვადაში განახორციელონ პარტიის მიერ დასახული პროგრამა. საბჭოთა ხალხის უდიდესი შრომითი აღფრთოვანების მკაფიო მაგალითია მისი პატრიოტული მისწრაფება აითვისოს მეტი ყამირი და ნასვენი მიწები, გაადიდოს მოსავლიანობა.

პარტიის ბრძნული პოლიტიკა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში წარმატებით ხორციელდება. ამ გმირულ მუშაობაში აფხაზეთის ახალგაზრდობამაც აქტიური მონაწილეობა მიიღო. აფხაზეთიდან ყამირ მიწებზე საამუშაოდ წასული 200-ზე მეტი ახალგაზრდა პატრიოტი, საქართველოს კომკავშირის მიერ წარგზავნილებთან ერთად, ყაზახეთის სსრ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს დაეხმარა უხვი მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებაში. ორი თვის განმავლობაში აფხაზეთიდან წარგზავნილებმა გამოიმუშავეს 33.735 შრომადღე, მიიღეს 235.534 მანეთი ფულად და 101.205 კილოგრამი მარცვლეული. საშუალოდ თვითეულმა მათგანმა გამოიმუშავა 168,5 შრომადღე და მიიღო 1.110 მანეთზე მეტი ფულად და 0,5 ტონა მარცვლეული. მოსავლის აღებასთან ერთად ახალგაზრდობამ სხვა სამუშაოებიც შეასრულა. მაგალითად, კომკავშირელებმა შეაკეთეს ელექტროდიზელი, გაყვანილ იქნა ელექტროხაზები, ელექტროდენი მიეცა სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის გამგეობას, სკოლას, კლუბს, ბიბლიოთეკას, კოლმეურნეთა სახლებს და მეცხოველეობის ფერმას.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ყამირ მიწებზე მოსავლის აღებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს ალკკ აფხაზეთის ორგანიზაცია დააჯილდოვა საპატიო სიგელით. ეს ჯილდო აფხაზეთის ასსრ ახალგაზრდობას ავალებს შემდგომ გამრავლოს თავისი შრომითი ღონისძიებები სოციალისტური ეკონომიკის განუხრელი განვითარებისათვის.

გასულ წელს 88 ახალგაზრდულ-კომკავშირული რგოლი იბრძოდა სოფლის მეურნეობაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის.

განსაკუთრებით ყარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ახალგაზრდულ-კომკავშირულმა რგოლებმა და ჯგუფებმა ოჩამჩირის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში. მაგალითად, სოფელ ქლოუს ვოროშილოვის სახელობის, სოფელ გვადის სუვოროვის სახელობის, სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის, სოფელ ილორის კომკავშირის სახელობის, სოფელ ფოქვეშის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობათა მეჩაიეობის ხუთმა ახალგაზრდულ-კომკავშირულმა რგოლმა და ჯგუფმა 27,7 ჰექტარ ფართობზე მიიღეს 141 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, როცა გეგმა 76,1 ტონას ითვალისწინებდა. ახლა ამ კოლმეურნეობათა ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებში.

შარშან თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია აგრეთვე გაგრის რაიონის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდობამ. ამ კოლმეურნეობის ახალგაზრდულ-კომკავშირულმა რგოლებმა, რომლებსაც კომკავშირელები ხურციძე და ხაზარჯიანი ხელმძღვანელობენ, სიმინდისა და თამბაქოს უხვი მოსავალი მოიყვანეს. გაეცნენ რა წითელწყაროელთა მოწოდებას, ახალგაზრდა კოლმეურნეებმა იკისრეს, რომ წელს სიმინდისა და თამბაქოს უფრო მაღალ მოსავალს მიიღებენ. ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება 1957 წელს უხვი მოსავლის მისაღებად აგრეთვე ოჩამჩირის მეორე მტს-ში. ამ მტს-ის კომკავშირელი მექანიზატორები გ. ბენიძე და ა. ტიტუსანი საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყების პირველი დღეებიდანვე ყოველ ცვლაში 7-8 ჰექტარ სათამბაქოე ნიადაგს ხნავენ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5,5 ჰექტარისა.

შეიძლება დავასახელოთ სოფლის მეურნეობის ბევრი ახალგაზრდა მოწინავე და მოვიყვანოთ ახალგაზრდობის აქტიური შრომის მრავალი მაგალითი. მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ იმ მდგომარეობაზეც, რომ ახალგაზრდა კოლმეურნეთა შორის ჯერ კიდევ ყველა როდი შრომობს კეთილსინდისიერად. სამწუხაროდ, არიან ისეთებიც, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. მაგალითად, სოფელ ბესლეთის კოლმეურნეობაში კომკავშირელების ნაწილს გასულ წელს არ გამოუმუშავებია შრომადღეების დაწესებული მინიმუმი. კოლმეურნეობაში 15 კომკავშირელია, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სასწავლებელი, მაგრამ ისინი უსაქმობაში ჰკლავენ დროს. და ეს მაშინ, როდესაც კოლმეურნეობა მუშახელის ნაკლებობას განიცდის. მთელი რიგი კომკავშირული ორგანიზაციები გვერდს უვლიან შრომაში ახალგაზრდობის მონაწილეობის საკითხებს. ასეთ ფაქტებს ვხვდებით, მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, გალის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ და სხვ. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ბევრ კომკავშირულ ორგანიზაციაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ეს იმის შედეგიც არის, რომ კომკავშირულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას ვერ უწევენ კომკავშირის რაიონული და საოლქო კომიტეტები.

კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა ახალგაზრდობას ღრმად და დამაჯერებლად განუმარტონ, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში შრომა სახელისა და დიდების საქმეა. საჭიროა ყოველმხრივ წაახალისონ ისინი, ვინც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში შრომობენ და ამასთან ერთად სწავლას განაგრძობენ დაუსწრებლად. ზარმაცებისა და უქნარების გარშემო კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა შექმნან საყოველთაო გაკიცხვის ატმოსფერო, გააკრიტიკონ ისინი კომკავშირელთა საერთო კრებებზე, მწვავედ გაამათრახონ სატირულ ფურცლებსა და კედლის გაზეთებში.

სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესონ ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, უფრო აქტიურად ჩაებან ჭაბუკები და ქალიშვილები კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებით დიდი მუშაობა უნდა გასწიონ საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ მომზადებისა და ჩატარებისათვის. საჭირო სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ აგროტექნიკის დარღვევებს. ამისათვის მიზანშეწონილია შეექმნათ კომკავშირული საგუშაგოები, მოვაწყოთ რეიდები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროწესების დაცვით ჩატარების შესამოწმებლად. კომკავშირელები მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ ადგილობრივი სასუქების მეტი რაოდენობით დამზადებასა და მინდვრად გაზიდვას, მაღალხარისხოვანი თესლის მომარაგებას, თესვისათვის მანქანების მომზადებას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველივე ამაზე დიდად არის დამოკიდებული 1957 წელს უხვი მოსავლის მიღება.

სოფლის მეურნეობის მშრომელებისათვის წელსაც გადაუდებელ ამოცანად რჩება ხორცის წარმოების გადიდება. ამ საქმეში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ სოფლის კომკავშირელებმა. შეუწყნარებელია ის მდგომარეობა, როცა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ხშირად კომკავშირული ორგანიზაციების სიტყვა და საქმე ერთმანეთს შორდება. მაგალითად, გულრიფშის რაიონის კომკავშირელებმა იკისრეს დახმარებოდნენ კოლმეურნეობებს ღორების გასუქებაში. მაგრამ ეს ვალდებულება მხოლოდ კეთილ სურვილად დარჩა. პრაქტიკული საქმეებით არ არის განმტკიცებული სოხუმის რაიონის კომკავშირელთა ინიციატივა — შეეკეთებინათ ძველი და გაეყვანათ ახალი გზები მეცხოველეობის ფერმებამდე. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ კომკავშირის რაიონულმა და საოლქო კომიტეტებმა სათანადო პრაქტიკული დახმარება არ გაუწიეს პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს მათი ინიციატივის განხორციელებაში. საქმე ისე უნდა მოვაყოთ, რომ კომკავშირელებმა უნარიანად მოჰკიდონ ხელი ღორების გასუქებას, მოზარდეულის გაზრდას, საკვების უხვი მარაგის შექმნას.

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილების შესასრულებლად იანვარში კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება ახალგაზრდობის ძალებით გაკულტურულოს ველური ხეხილი მყნობის გზით. ამ შესანიშნავი ინიციატივის განხორციელება ახალგაზრდობის ღირსების საქმეა. ჯერ კიდევ 1935 წელს თავის წერილში აჭარის, აფხაზეთისა და სხვა სუბტროპიკული რაიონების კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ი. ვ. მიჩურინი მოგვიწოდებდა გვემუშავნა არა მარტო სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებაზე, არამედ ყოველი ღონისძიებით გაგვითარებინა ხილ-კენკრის მეურნეობა. ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელებს შეუძლიათ განახორციელონ და კიდევაც უნდა განახორციელონ ბუნების დიდი გარდამქმნელის ეს შესანიშნავი აზრი.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა კომკავშირულ ორგანიზაციებს მისცა მითითება მიიღონ

მთელი ძალებით განვამტკიცოთ მშვიდობის საქმე!

საუბარი მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარესთან ნ. ს. ტიხონოვთან

ექვსი წლის წინათ, 1951 წლის 12 მარტს, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წინადადებით მიიღო კანონი მშვიდობის დაცვის შესახებ. დღეს ჩვენი ქვეყნის მშვიდობის ყველა მომხრე აღნიშნავს ამ ღირსშესანიშნავ წლისთავს.

მშვიდობის დაცვის კანონის მიღება იყო პასუხი მშვიდობის მომხრეთა II მსოფლიო კონგრესის მოწოდებაზე ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი, რომ ყველა ქვეყანაში დაეგმოთ და აეკრძალათ ომის პროპაგანდა ყოველ დარგში და ყოველი ფორმით.

მშვიდობის დაცვის კანონს ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ყველა დეპუტატმა, მთელმა ჩვენმა ხალხმა, ყველა ქვეყნის მშვიდობის ყველა მეგობარმა.

ვიგონებ რა მშვიდობისათვის მთელი საერთაშორისო მოძრაობის ამ უდიდესი მნიშვნელობის ამბავს, მსურს გაგახსენოთ, რომ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული მშვიდობის დაცვის კანონის თანახმად ომის პროპაგანდა, რა ფორმითაც უნდა წარმოებდეს იგი, ძირს უთხრის მშვიდობის საქმეს, ქმნის ახალი ომის საფრთხეს და ამის გამო წარმოადგენს უმძიმეს დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ. ომის პროპაგანდაში დამნაშავე პირები მიცემულ უნდა იქნან სამართალში და გასამართლებულ იქნან როგორც სისხლის სამართლის მძიმე დამნაშავენი.

ჩვენ ახლა ყველანი ვხედავთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის დაცვის კანონს, რომელიც მიღებულია ჩვენს ქვეყანაში. ასეთივე კანონები მიღებულია სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. მშვიდობის საბჭოთა მომხრეები ღრმად დარწმუნებული არიან, რომ ომის პროპაგანდის აკრძალავი ასეთი კანონები მიღებული რომ იყოს დასავლეთის ქვეყნებში, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, ადამიანთა შეგნება ახლა აღარ მოიწამლებოდა ატომური ომის მომზადების პროპაგანდით. ჩვენს დროში კი არ შეიძლება არ ვხედავდეთ, თუ როგორ ცდილობენ მთელი რიგი ქვეყნების აგრესიული ძალები დააბრუნონ „ცივი ომის“ ყველაზე ცუდი დრო, აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, ქადაგებენ აშკარა ჩარევას სხვა სახელმწიფოთა საქმეებში, ასეულ მილიონობით დოლარს ხარჯავენ ხალხთა მშვიდობის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მუშაობისათვის.

მშვიდობის მტრებს სურთ ხელი შეუშალონ ხალხთა მზარდ ურთიერთ გაგებას, მათ შორის ეკონომიური, მეცნიერული, კულტურული ურთიერთობის განვითარებას, ცილი დასწამონ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

ჩვენ, მშვიდობის საბჭოთა მომხრენი, ყოველი ღონისძიებით ვუწყობთ ხელს მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის გაფართოებას ყველა ქვეყანასთან, მიუხედავად მათი პოლიტიკური და სოციალური წყობილებისა. ეს გამოხატულებას პოულობს ყოველმხრივი კონტაქტების განვითარებით საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფსა და უცხოთის ორგანიზაციებსა და ცალკე პირებს შორის, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან.

მშვიდობის საბჭოთა მომხრენი მხურვალედ უჭერენ მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ჟოლიო-კიურის განცხადებას, რომელიც ხალხებს მოუწოდებს იყვნენ ფხიზელნი ომის ძალების აქტივიზაციის წინაშე, მიაღწიონ მთავრობათა შეთანხმებას განიარაღების, ატომური იარაღისა და მისი გამოცდის აკრძალვის ეფექტიან ღონისძიებათა შესახებ.

მშვიდობის საბჭოთა მომხრენი ყოველთვის უჭერდნენ და დუჭერენ მხარს ყოველ ინიციატივას, ყოველ ღონისძიებას, რომლებიც ემსახურება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს. ისინი მთელი ძალებით კვლავაც განამტკიცებენ მშვიდობის დიად საქმეს.

საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს სესია

პარიზი, 11 მარტი. (საკდესი). 9 და 10 მარტს პარიზში გაიმართა საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს სესია, რომელსაც განიხილა ალჟირის პრობლემა და განიარაღებასთან და „მცირე ევროპის“ შექმნასთან დაკავშირებული საკითხები. კამათში გამოვიდნენ პიერ კოტი, ლორან კაზანოვა, დ' ასტიე დე ლა ვიჟერი, ბერნარ ლავერნი და საბჭოს სხვა წევრები.

ეროვნულმა საბჭომ ერთსულოვნად მოიწონა დეკლარაცია, რომლითაც განსაზღვრავს თავის პოზიციას ალჟირის საკითხსა და ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხში.

დეკლარაციაში მტკიცედ დაგმობილია კოლონიური რეპრესიები, წამება, მასობრივი დაპატიმრება, რომლებიც ალჟირში ხდება. ეროვნული საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მთავრობამ უნდა იკისროს ინიციატივა ალჟირის მოსახლეობასთან ოფიციალური მოლაპარაკების მოწყობისათვის. მოლაპარაკებამ უნდა წარმოებდეს ალჟირელების ეროვნულ მისწრაფებათა აღიარებისა და საფრანგეთსა და ალჟირს შორის განსაკუთრებული პოლიტიკური ურთიერთობის დამყარების შესახებ. ეროვნული საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ალჟირელი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს და საფრანგეთისა და ალჟირის ახალ პოლიტიკურ ურთიერთობას შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არის.

ეროვნულმა საბჭომ მტკიცედ დაგმო სამხედრო ბლოკებისა და გამალებული შეიარაღების პოლიტიკა, ახალ სახეობათა ატომური იარაღის დამზადება და გამოცდა.

„ევროპაში, — ნათქვამია დეკლარაციაში, — ცივი ომის განახლებამ საშიშ მდგომარეობა შექმნა. გერმანიის გათიშვა ორ ნაწილად და ამ ნაწილების მიმხრობა მტრული სამხედრო ბლოკებისადმი ომის საფრთხეს შეიცავს“.

საბჭომ დაგმო „მცირე ევროპის“ შექმნის პროექტები.

მდგომარეობა ღაზაში

კაირო, 11 მარტი. (საკდესი). ეგვიპტის გაზეთები წერენ, რომ ღაზის სექტორის მოსახლეობა მოითხოვს ღაზის სექტორის მმართველობა გადაეცეს ეგვიპტის ადმინისტრაციას, როგორც ეს ისრაელის აგრესიამდე იყო. პრესა იუწყება, რომ გუშინ დილიდან ღაზაში, რაფახსა და ხანიუნისში გაიმართა მრავალათასიანი დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენი მოითხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნას ეგვიპტის ადმინისტრაცია, და პროტესტს აცხადებდნენ ღაზის სექტორის ინტერნაციონალიზაციის გეგმის წინააღმდეგ. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ეგვიპტის რესპუბლიკის ალმები და პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის პორტრეტები.

ყველა გაზეთი იუწყება, რომ გუშინ ღაზაში დემონსტრანტებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალების ჯარებს შორის შეტაკებები მოხდა. დემონსტრანტები შეიკრიბნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალების შტაბის წინ, სადაც ამ დროს იყო ჯარების სარდალი გენერალი ბერნსი, და წარმოთქვამდნენ ლოზუნგებს ეგვიპტისა და არაბთა სოლიდარობის აღსანიშნავად, ღაზის სექტორის ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგ.

გაზეთი „ალ-აჰრამი“ წერს, რომ, როცა პალესტინელმა ახალგაზრდამ მუჰამედ ელ-მუშარეფმა სცადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ბინაზე ეგვიპტის ალმი მიემაგრებინა, კანადელმა ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს მას. მუჰამედ ელ-მუშარეფი ორი ტყვიით დაიჭრა და ჰოსპიტალში წაიყვანეს მძიმე მდგომარეობაში. გაზეთი წერს, რომ დაიჭრა აგრეთვე სამი სხვა დემონსტრანტი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალების სარდლობამ ქალაქში მაშველი ძალები გამოიწვია და გამოაცხადა, რომ შემოღებულია კომენდანტის საათი. ქალაქში შემოღებულია საგანგებო წესები.

იუწყებიან, რომ გენერალმა ბერნსმა დანიის ჯარების სარდალი პოლკოვნიკი ენგბოლმი დანიშნა ღაზის სექტორის სამხედრო გუბერნატორად. ღაზის მუნიციპალიტეტი დაშლილად გამოაცხადეს. ღაზაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდალმა შვედმა პოლკოვნიკმა ლუნდკვისტმა განაცხადა, რომ ღაზის სექტორში შეიქმნება „დროებითი მმართველობა“.

გაზეთი „ალ-აჰრამი“ აგრეთვე იუწყება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა ღაზაში დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენეს ცრემლსადენგაზიანი გრანატები და დემონსტრანტების თავზე ისროდნენ ავტომატებს. როგორც გაზეთი „ალ-გუმჰურია“ იუწყება, კანადელმა და ნორვეგიის ჯარებმა სროლა აუტეხეს დემონსტრანტებს და ბევრი მათგანი დაჭრეს. გაზეთ „ალ-გუმჰურიას“ სპეციალური კორესპონდენტი ღაზიდან იუწყება, რომ რომელიღაც კანადელმა ჯარისკაცმა ერთ-ერთი დემონსტრანტი ხიშტით დაჭრა. გაზეთი იუწყება, რომ ქალაქში ტანკები შეიყვანეს. როგორც გაზეთი „აშ-შაბი“ წერს, ღაზის სექტორში ვითარება კვლავ განსაკუთრებით დაძაბულია.

საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობისათვის

პარიზი, 11 მარტი. (საკდესი). როგორც ცნობილია, საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის შეთანხმება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან საარის შეერთების შესახებ 5 მხოლოდ გარკვეული პირობებით, რომელთაგან მთავარია არხების სისტემის მშენებლობა მდინარე მოზელზე. ამ არხებს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვთ საფრანგეთის მეტალურგიული მრეწველობისათვის. ამავე დროს ახლა, როცა საარი უკვე შეუერთდა დასავლეთ გერმანიას. ირკვევა. რომ არხების გაყვანა უახლოეს მომავალში არ მოხდება. რურის მეტალურგიული მონოპოლიები, რომლებიც ისწრაფვიან შეავიწროვონ თავიანთი ფრანგი კონკურენტები, შეუჰოვარ წინააღმდეგობას უწევენ არხების მშენებლობის პროექტს. ამ მონოპოლიების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს რადაც უნდა დაუჯდეთ, თუ ხელს არ შეუშლიან, ყოველ შემთხვევაში გააჭიანურონ მშენებლობის სამუშაოთა დაწყება. მათი მთავარი „არგუმენტი“ ის არის, რომ მდინარე მოზელზე არხების მშენებლობა შეუთავსებელია „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ პრინციპებთან, რამდენადაც მშენებლობა გააძლიერებს კონკურენციას, მაშინ როცა ეს კონკურენცია ფორმალურად გამორიცხულად მიაჩნიათ აღნიშნული გაერთიანების საქმიანობიდან. ემყარებიან რა ამას, დასავლეთ გერმანიის მეტალურგიულმა მონოპოლისტებმა მოსთხოვეს „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ უმაღლეს ორგანოს გამოიტანოს გადაწყვეტილება არხების მშენებლობის წინააღმდეგ. როგორც გაზეთ „კომბას“ ცნობიდან ჩანს, რურის მეტალურგიული მაგნატები ემზადებიან აგრეთვე მოახდინონ შესაბამისი დემარში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წინაშე.

სამხრეთ კორეელ სამხედრო მოსამსახურეთა გაღიარება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ფხენიანი, 11 მარტი. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშთა სააგენტო იუწყება, 9 მარტს სამხრეთ კორეის არმიის უმცროსი ლეიტენანტი კიმ ჩერ ჯუნი ნებაყოფლობით გადმოფრინდა ჩრდილოეთ კორეაში ამერიკის თვითმფრინავით. კიმ ჩერ ჯუნმა განაცხადა, რომ იგი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადმოფრინდა იმიტომ, რომ არა სურს მონაწილეობა მიიღოს სამარ მზადებაში, რასაც სამხრეთ კორეაში ეწევიან ამერიკელი იმპერიალისტები და ლისინმანელები.

გაზეთ „მინჯუ ჩოსონის“ ცნობით, ცოტა უფრო ადრე ჩრდილოეთ კორეაში გადმოვიდნენ სამხრეთ კორეის არმიის ორი უმცროსი სერჟანტი და ერთი ჯარისკაცი.

გულგარეთის სახალხო კრების სესია

სოფია, 11 მარტი. (საკდესი). დღეს მუშაობა განაახლა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების მორიგმა მეშვიდე სესიამ, რომელიც განიხილავს შემდეგ საკითხებს: ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის, მოსკოვის მოლაპარაკების შედეგები, მოხსენება ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში ბულგარეთის მთავრობის დელეგაციის მოგზაურობის შესახებ, 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და სხვ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბულგარეთის მთავრობის დელეგაციის მეთაურმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანტონ იუგოვმა. მისი მოხსენება განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინეს.

სესიამ ერთსულოვნად მოიწონა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის საქმიანობა მოსკოვის მოლაპარაკების დროს და ხელმოწერილი დოკუმენტები.

დღევანდელ სხდომაზე მოხსენება ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში ბულგარეთის მთავრობის დელეგაციის მოგზაურობის შესახებ გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლო ლუკანოვმა.

სესია მუშაობას განაგრძობს.

სეატოს საბჭოს სესია კანბერაში

ნიუ-იორკი. 11 მარტი. (საკდესი). როგორც ავსტრალიის დედაქალაქ კანბერიდან იუწყებიან, დღეს იქ გაიხსნა სეატოს საბჭოს მე-3 ყოველწლიური სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ამ სამხედრო ბლოკში შემავალი ქვეყნების, სახელდობრ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, პაკისტანის, ტაილანდისა და ფილიპინების დელეგაციები. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას მეთაურობს სახელმწიფო მდივანი დალესი. სესიის მონაწილე მეტი წილი სხვა ქვეყნების დელეგაციათა მეთაურები არიან აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრები.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, სეატოს საბჭოს ახლანდელი სესიის მთავარი ამოცანაა სეატოს ქვეყნების საომარი მზადების კოორდინაცია და ახალ ღონისძიებათა შემუშავება იმ მიზნით, რომ განამტკიცოს დედამიწის ამ რაიონში დასავლეთის კოლონიურ სახელმწიფოთა პოზიციები, რომლებიც სულ უფრო ირყევა.

კერძოდ, იუწყებოდნენ რომ ამ სესიაზე განიხილავენ „მდგომარეობას ინდონეზიაში“, თუმცა ინდონეზიას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სეატოსთან. სეატოს საბჭოს ახლანდელი სესიის ინიციატორთა ამ გადაწყვეტილებამ აღშფოთება გამოიწვია ინდონეზიაში და ინდონეზიის საზოგადოებრიობა მას ახასიათებს, როგორც უხეშ ჩარევას ინდონეზიის საშინაო საქმეებში. მეორე საკითხი, რომელიც სეატოს მესვეურებმა შეიტანეს საბჭოს განსახილველად, არის „შესწავლა მდგომარეობისა“ ტაილანდსა და ლაოსში, სადაც ამ ბოლო დროს იყო აშკარა გამოსვლები სეატოს საქმიანობის წინააღმდეგ.

კოლონიზატორთა შეშფოთებამ, რაც გამოწვეულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდით, და მათმა განზრახვამ გააძლიერონ ამ ქვეყნების საქმეებში ჩარევა, თავისი გამოხატულება ჰპოვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის დღევანდელ გამოსვლაში სეატოს საბჭოს სესიის გახსნაზე. დალესმა თავის გამოსვლაში მთავარი ყურადღება დაუთმო ბლოკის მონაწილე ქვეყნების სამხედრო ღონისძიებებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი პროპაგანდას უწევდა სეატოს სამხედრო მხარის „ფიდ მნიშვნელობას, რომელიც არ მცირდება“ და ამ ბლოკში „ერთობლივი სამხედრო დაგეგმვის“ ეფექტიანობას. ამასთან მან განაცხადა, რომ შეერთებული შტატების გადაწყვეტილება განახორციელონ სეატოს გეგმები „განმტკიცებულია ძალით“.

ამერიკის სახელმწიფო მდივნის გამოსვლა შეიცავდა თავდასხმას აზიის ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე და ამერიკის დიპლომატიისათვის ჩვეულ ცდას დაამნინოს აზიის ნეიტრალური სახელმწიფოები „კომუნისტური საფრთხით“. ამასთან დალესი არ მოერიდა იმას, რომ უხეშად დაეწამებინა ცილი საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკისათვის. იგი ცდილობდა დამახინჯებულად წარმოედგინა საბჭოთა კავშირის პოზიცია შუა აღმოსავლეთის ამბების მიმართ, აგრეთვე ჩირქი მოეცხო სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინადადებებისათვის, რომელთა მიზანია ვაჭრობის განვითარება და აზიის სუსტადგანვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა.

„ცივი ომის იარაღი“

ინდოეთის გაზეთი სეატოს საბჭოს სესიის შესახებ

დელი, 11 მარტი. (საკდესი). ინდოეთის პრესა, კომენტარს უკეთებს რა სეატოს საბჭოს სესიას, რომელიც ამჟამად კანბერაში მიმდინარეობს, გამოხატავს ინდოეთის საზოგადოებრიობის დიდ შეშფოთებას ამ რაიონში იმპერიალისტურ სახელმწიფოთა საომარი მზადების გამო.

გაზეთ „ნავ-ჯივანი“, რომელიც ლაკნაუში გამოდის, მოწმიანავე სტატიაში წერს, რომ სამხედრო კავშირების გეგმამ, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებმა მიიღეს „კომუნისტების ძირგამომთხრელი მოქმედების“ წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით და, რომელიც მიმართულია აზიაში განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, არა მარტო საფრთხე შეუქმნა ინდოსტანის ნახევარკუნძულის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, არამედ აგრეთვე ხელს უშლის მის ეკონომიურ განვითარებას.

აკრიტიკებს რა მოხსენებას განვლილ წელს სეატოს საქმიანობის შესახებ, გაზეთი ამ ორგანიზაციას უწოდებს „ცივი ომის იარაღს“. „მსოფლიომ უკვე დაინახა, — აღნიშნავს „ნავ-ჯივანი“, — როგორ შეუქმნა ბაღდადის სამხედრო პაქტმა საფრთხე არაბთა ეროვნულ დამოუკიდებლობას. ეიზენჰაუერის დოქტრინა ძალის ვაკუუმის შესახებ დასავლეთ აზიაში სამხედრო ჩარევის მხოლოდ ახალი სახელწოდებაა“.

მოჰყავს რა ინდონეზიაში, ქაშმირში, გოასა და ინდოჩინეთში დასავლეთის სახელმწიფოთა ძირგამომთხრელი საქმიანობის მაგალითები, გაზეთი წერს: „ეს ფაქტები მხოლოდ გვიჩვენებენ, რომ აზიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ ძირგამომთხრელ საქმიანობას აზორციელებენ არა კომუნისტური ქვეყნები, არამედ დასავლეთის კოლონიური სახელმწიფოები. სეატოს მოხსენება ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს არა სურთ დაეთანხმონ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს“.

აღნიშნავს რა, რომ საბჭოთა კავშირი „არ ცდილობს მიიღოს პრივილეგიები დასავლეთ ან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, და მას არა აქვს სამხედრო ბაზები ამ რაიონებში“, გაზეთი შემდეგ წერს: „საბჭოთა რუსეთმა შეიტანა წინადადება მსოფლიო ეკონომიური კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელიც ანალიზს გაუკეთებდა საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობას. ეს საგულისხმო წინადადებაა.

ინდოეთმა და ჩინეთმა შეიტანეს წინადადება დაიდოს აზიისა და წყნარი ოკეანის რაიონის ქვეყნების კოლექტიური უშიშროების პაქტი სამხედრო კავშირების ნაცვლად. ეს საგულისხმო წინადადებაა მშვიდობისა და უშიშროების თვალსაზრისით.

თუ დასავლეთის სახელმწიფოებს სურთ ბოლო მოეღონ საერთაშორისო დაძაბულობას და ტრადიციულ ექსპლოატაციას, ისინი სერიოზულად უნდა ჩაუკვირდნენ ამ წინადადებებს. სამხედრო კავშირები სიმბოლოა კოლონიზატორული ინტერესებისა, მათი დრო კი წავიდა“.

სოხუმი. კულტურის ახალი სახლი თბილისის გზატკეცილზე, პანსიონატ „ხინოპის“ ახლოს. ფოტო გ. ალპერტისა.

საერთაშორისო ამხანაგური მატჩები კრივში

მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოკრივეთა ნაკრები კოლექტივების საერთაშორისო ამხანაგური მატჩები.

პირველი შეჯიბრება საბჭოთა სპორტსმენების წარმატებით აღინიშნა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 19:11. ათი შეხვედრიდან სსრ კავშირის მოკრივეებმა მოიგეს ცხრა, მათ შორის ორი ნოკაუტით.

მეორე მატჩში სსრ კავშირის ნაკრები გუნდი ძირითადად დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდა მოკრივეებით. საბჭოთა სპორტსმენებმა ეს შეხვედრაც ძლიერად ჩაატარეს და მოიგეს შეჯიბრება ანგარიშით 17:13.

საბჭოთა და ბირმელი ფეხბურთელების შეხვედრა

რანგუნი, 11 მარტი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა ბირმის ნაკრები გუნდისა და საბჭოთა კავშირის „დინამოს“ (თბილისი) გუნდის მატჩი ფეხბურთში.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 9:1 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ.

მატჩს დაესწრნენ ბირმის პრემიერ-მინისტრი უ ნუ, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დოქტორი სეინ ბანი, სსრ კავშირის ელჩი ბირმაში ა. დ. შჩიბორინინი, აგრეთვე რანგუნში აკრედიტებული მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

საქართველოს პირველობა ჭადრაკში

11 მარტს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება.

ელიოზიშვილმა დაამარცხა დემურია და წაიგო შეხვედრა ჯანოევთან. გამრეკელი და ბლაგიძე ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა ჯანოევ-თოთლაძის პარტია. ჭყონიამ მოუგო კაკაბაძეს, ბრეიტმანმა — თოთლაძეს. ბლაგიძე-ყალატოზიშვილის პარტია გადაიდო ბლაგიძისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

15 ტურის შემდეგ პირველობის გათამაშების ლიდერია ლომაია, რომელსაც 11 ქულა აქვს. ოსტატობის კანდიდატს ბლაგიძეს 10 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ოსტატ ბუსლაევსა და კიკინს — თა-ათი ქულა, არნშტეინს — 9,5 ქულა, კალატოზიშვილს — 9 ქულა და 1 გადადებული პარტია, ელიოზიშვილს — 9 ქულა.

ახალი სპექტაკლი

სტალინირი. („კომუნისტის“ კორ.). კ. ხეთაგურაოვის სახელობის სახელმწიფო თეატრი ქართულმა დრამამ მაყურებელს უჩვენა ახალი პიესა „იალაღებზე“, რომლის ავტორია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. აფხაძე. პიესაში ასახულია მთიანი იმერეთის ერთ-ერთი სოფლის ყოველდღიური საკოლმეურნეო ცხოვრება, ურთიერთობა ქალაქსა და სოფელს შორის, სოფლად ახალგაზრდა სპეციალისტების მუშაობა.

პიესის დადგმა განახორციელა გ. პატარიძემ. მხატვრობა ეკუთვნის დ. მირიანაშვილს, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ვ. კურტიდიმ. სპექტაკლში როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ი. შერიზადიშვილი, ი. ცხვირაშვილი, ი. ტყემალაძე, მსახიობები ე. თარალაშვილი, თ. ლოლაძე, ქ. მურჯიკნელი, თ. კვმულარია, რ. პლიევა, ვ. დარბუაშვილი, გ. ბიჭიკაშვილი, ვ. ყაზახაშვილი, ვ. საჩილელი, გ. ყოქოევი, შ. ცხოვრებოვი, ზ. გასიევი, ვ. ჭულუხაძე და სხვ.

ხმის ჩამწერ სალაბორატორიაში

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის აგიტ-გლობრივი მრეწველობის სამმართველოს სამრეწველო კომბინატი რუსთაველის პროსპექტზე № 18 სახლში აპრილის შუა რიცხვებში ხსნის ხმის ჩამწერ საამქროს სტუდიით. ეს იქნება ხმის ჩამწერი მეოთხე დიდი მოწყობილობა სსრ კავშირში. აპარატურა მიღებულია გორკის ქარხნიდან. საამქროში იმუშავებს აგრეთვე ჩაწერილი ხმის მექანიკური გადამმუშავებელი, გალვანური, მიმღები და სხვა განყოფილებები.

ავტომანქანების შეკეთებისა და პროფილაქტიკისათვის

ავტომანქანების პროფილაქტიკისა და მიმდინარე რემონტის საამქროები ეწყობა თბილისის შემოსასვლელთან მარნეულის გზატკეცილზე და ავლაბარში შავი ზღვის ქუჩაზე. მათი მთავარი დანიშნულებაა მანქანის მიმდინარე შეკეთება, გარეცხვა და საწვავ-საცხები მასალებით მომარაგება. ავლაბარში საამქრო ამუშავდება მარტის შუა რიცხვებში. მარნეულის გზატკეცილზე საამქროსათვის აშენებენ ახალ შენობას. იგი დამთავრდება სექტემბერში.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

სამხრეთ კორეელ სამხედრო მოსამსახურეთა გაღიარება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში

საქართველოს რადიოგადაცემათა პროგრამა 14 მარტისათვის

პირველი და მეორე პროგრამით

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — საბალეტო მუსიკის კონცერტი, 07.40 — „პიონერთა დაფიონი“, 08.20 — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 11.00 — სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა მუსიკის კონცერტი, 12.15 — კამერული მუსიკა, 12.45 — სიმღერები საქართველოს სახელმწიფო კაპელის შესრულებით, 13.20 — ნაწყვეტები მუსორგსკის ოპერიდან „სოროჩინის ბაზრობა“, 14.05 — მუსიკალური ნარკვევი „პაბლო სარასატე“, 17.20 — ქართული სიმღერები, 18.15 — ლაღიძის ხიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის“, 18.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის ციკლიდან „წიგნის თაროზე“, 19.20 — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, 19.40 — რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, თბილისის საქალაქო ქსელით — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 20.20 — მონტაჟი მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლისა „ხეები ზეზეულად კვდებიან“.

რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე

12.15 — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ მიმოხილვა, 18.15 — 19.00 — გადაცემა სომხურ ენაზე, 20.00 — 21.00 — გადაცემა აზერბაიჯანულ ენაზე.

ᲓᲦᲔᲡ

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — კარმენი, **რუსთაველის სახელობის** — ეზოში ავი ძაღლია, **მარჯანიშვილის სახელობის** — მკაცრი ქალიშვილები, **გრიბოედოვის სახელობის** — ხეები ზეზეულად კვდებიან, **სომხური დრამის** — მიცვალებულის აღდგომა, **მუსიკალური კომედიის** — საყვარელი დისშვილი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — პრინცესა ტურანდოტი (აბონემენტი № 41, 7 ს.), **თოჯინების ქართული** — თოვლის პაპა (10 ს.), **ფილარმონია** — კონცერტი ტ. ოკუნევსკაიას და ა. ნეკრასოვის მონაწილეობით (საზამთრო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, თბილისი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ხელი მოგიმართოთ, **ამირანი** — ჩრდილი და სინათლე, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — გიმანი, **დიდუბე, საქართველო** (წვანე დარბაზი) — ცხოვრების ფურცლები, **კოლხიდა, კომუნარების ბადი** — ეს მოხდა ქუჩაში, **სპარტაკი** — გზა ეშაფოტისაკენ, **კომკავშირელი** — ქალი უწარსულოდ, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — ლეილა და გაბორი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — ბედნიერებასთან შეხვედრა, **კოლმეურნე** — აბეზარა, **კიროვის სახელობის პარკი** — გაცრუებული ოცნებები, **ოფიცერთა სახლი** — ო, მინდორო, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — კნოპკა და ანტონი.

მოქალაქე **ნადეჟდა სიმონის ასულმა კლიმოვამ**, მცხოვრებმა რუისპირის ქ. № 17, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ **მიხეილ პეტრეს-ძე კლიმოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგია.

მოქალაქე **მარიამ ილიას ასულმა მანიევამ**, მცხოვრებმა ნავთლუღის დასახლება სახლი № 335, აღძრა საქმე ენგელსის ქ. № 23 მცხოვრებ მოქალაქე **ედუარდ პავლეს-ძე მანიევთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლო.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, პარტიული კომიტეტი და ეკონომიური ფაკულტეტის თანამშრომლები იუწყებიან

სამუელ ლაზარეს-ძე ინწკირველის

გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის თანამშრომლები იუწყებიან

მარიამ ლუკას ასულ ავალიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-III, 8 ს. გამოსვენება 14-III, 5 ს. გრიბოედოვის ქ. № 29.

ძმა ვანო, დები მარო, ნატო და ს. ციციშვილი ოჯახებით იუწყებიან

სოფიო ესტატეს ასულ ნათაძე-ოძელაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-III, 8 ს. გამოსვენება 14-III, 5 ს. მარჯანიშვილის ქ. № 32.

წაღვერის ბავშვთა სანატორიუმის თანამშრომლები იუწყებიან

ნადეჟდა გონგლაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-III ბორჯომბაღში, გამოსვენება ბინიდან, ბორჯომის ქ. № 17.

თბილისის 53-ე საშუალო სკოლის დირექცია, პედაგოგ